მავთულხლართების ზონა

ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე

ადამიანის უფლებათა ცენტრი (ადიუც)
Human Rights Center (HRIDC)

მავთულხლართების ზონა

ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები
აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე

2019

ანგარიშის ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი
რედაქტორები: უჩა ნანუაშვილი, ალეკო ცქიტიშვილი
თარგმანი: ნინო ტლაშაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48 ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org

Norwegian
Helsinki Committee

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის პოზიციას. შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 8

ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება 9

- დაკავებები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და მოსახლეობისათვის მოულოდნელად 9
- დაკავებები „საჭირო“ დოკუმენტაციის არსებობის მიუხედავად 15
- არასათანადო მოპყრობა დაკავებისას 16
- არასათანადო პირობები 17
- ოჯახთან კონტაქტი 19
- საქართველოს სამართალდამცავი უწყებების მოქმედებები 20
- საგამოძიებო და სასამართლო პროცესები და გათავისუფლება 20
- სხვა პრობლემები 22
- არასრულწლოვანი პირების დაკავება 24
- ორსული ქალის დაკავება 24
- შეფასებები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით 25

გადაადგილების თავისუფლება და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საკითხები 28

- შეფასებები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით 31

განათლების ხელმისაწვდომობა 31

- შეფასებები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით 33

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები 33

პასუხისმგებლობის საკითხი 35

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო 38

რეკომენდაციები 39

შესავალი

2008 წლის აგვისტოში, რუსეთსა და საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების მიზნით, რუსეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიან შეთანხმებას. შეთანხმების ხელმოწერიდან მცირე ხანში რუსეთმა მის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. ბორდერიზაცია დაიწყო. ბორდერიზაცია გულისხმობს სასაზღვრო ნიშნების, ღობეებისა და მავთულხლართების ცალმხრივად დამონტაჟებას ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ, რაც მიზნად ისახავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს დანარჩენი ტერიტორიისგან გამოყოფას[1].

2009 წლის აპრილში, რუსეთის ხელისუფლებასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობებს შორის დადებული შეთანხმებით, საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევით, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სასაზღვრო ძალებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მოქმედების უფლებამოსილება მიენიჭა[2]. ბორდერიზაციის ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, რომელიც მედიის მიერ გაშუქდა, აღნიშნული ფაქტიდან დაახლოებით სამ თვეში დაფიქსირდა. კერძოდ, 2009 წლის აგვისტოში, რუსეთის სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლებმა გორის რაიონის სოფელ ქვეშში საქართველოს მიერ კონტროლირებადი სოფლის ტერიტორია ბოძებით მონიშნეს[3].

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ბორდერიზაციის პროცესმა ინტენსიური ხასიათი 2013 წელს მიიღო. 2017 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით კი, მთლიანობაში, ბორდერიზაციის 30-ზე მეტი ინციდენტი დაფიქსირდა, რომელიც მოიცავს 33 სოფელს სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ და შვიდ სოფელს აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ[4]. ამ პროცესს, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზების გასწვრივ დღემდე გრძელდება[5], თან ახლავს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მასობრივი დარღვევები. განსაკუთრებით ირღვევა თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის, გადაადგილების, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და განათლების უფლებები. შექმნილ მდგომარეობას გამყოფ ხაზთან მცხოვრები ერთ-ერთი ადგილობრივი აღწერს, როგორც „ჰაერის გადაკეტვას“, რაც თვალსაჩინოდ გამოხატავს აქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ყოფის სიმძიმეს.

მავთულხლართების გავლების შედეგად მოსახლეობას ეზღუდება წვდომა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, საძოვრებზე და სარწყავ წყალზე, რაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლის მიღების ძირითადი წყაროა. არსებობს შემთხვევები, როდესაც მავთულხლართების დამონტაჟების შედეგად საცხოვრებელი სახლები დე-ფაქტო მთავრობების კონტროლირებად ტერიტორიებზე აღმოჩნდა. ასეთია,

---

[1] საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, „ბორდერიზაცია საქართველოში - რუსეთის პოლიტიკის შეკავების სტრატეგია“

[2] *იგივე*

[3] რადიო თავისუფლება - „სოფელ ქვეშში რუსეთის ჯარები საზღვრის გადაწევას ცდილობენ“: https://www.radiotavisupleba.ge/a/1790975.html
https://www.rferl.org/a/Russian_Troops_Try_To_Shift_South_Ossetia_Border_Markers/1791641.html

[4] „ბორდერიზაცია საქართველოში: შესაძლებელია თუ არა რუსეთის პოლიტიკასთან გამკლავება“: http://netgazeti.ge/news/242817/

[5] რადიო თავისუფლება - „სოფელ ხურვალეთთან ახალი მავთულხლართები გაჩნდა“
ლიბერალი: „სოფელ ატოცთან, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ქეთევან ციხელაშვილის მივიდა“

მაგალითად, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხურვალეთში მცხოვრები 85 წლის დათა ვანიშვილის შემთხვევა, რომელიც 2012 წლიდან მავთულხლართების მიღმა ცხოვრობს. დათა ვანიშვილმა უარი თქვა საკუთარი სახლის მიტოვებაზე და ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა საკუთარ მეუღლესთან ერთად, მაგრამ საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად კვეთს მავთულხლართებს და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდის პენსიის ასაღებად, არჩევნებში ხმის მისაცემად თუ სხვა უფლებების რეალიზაციის მიზნით[6].



<u>გამყოფ ხაზთან, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები დათა ვანიშვილის სახლი</u>

გამყოფ ხაზზე განსაკუთრებით მძიმეა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგომარეობა. საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური ინფორმაციით, 2011 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან უკანონო დაკავების მსხვერპლი გახდა 2404 ადამიანი[7]. დაკავებები, უმეტესწილად, რუსეთის სასაზღვრო ძალების წარმომადგენლების მიერ ხორციელდება „საზღვრის უკანონო კვეთის“ ბრალდებით. 2017 წელს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით 52 დაკავების ფაქტი დააფიქსირა, მაშინ როცა, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის მონაცემებით, აფხაზეთის მიმართულებით 2017 წელს დაკავებულთა რიცხვმა 1000 ადამიანზე მეტი შეადგინა[8]. ხოლო 2016 წელს, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის მონაცემებით, აფხაზეთის მიმართულებით 3000 ადამიანი დააკავეს, მაშინ როცა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, 2016 წელს აღნიშნულმა რიცხვმა 193 ადამიანი შეადგინა. იმის გათვალისწინებით, რომ

[6] „იძულებითი შინაპატიმრობა კონფლიქტის ზონის მაცხოვრებლისთვის“: https://www.amerikiskhma.com/a/khurvaleti-stringencies/3451764.html

[7] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“.

[8] <u>საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომაროების შესახებ, 2017 წელი.</u>

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მოკლებულია შესაძლებლობას, მოახდინოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე თითოეული დაკავების დოკუმენტირება, საქართველოს ოფიციალური უწყებების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა არასრულია[9]. რუსეთის მიერ დაფიქსირებული დაკავებების გაცილებით მეტი რაოდენობა სავარაუდოდ მოიცავს გალის მხრიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის შემთხვევებს, რაზეც ხელმისაწვდომობა არ აქვს და რასაც ვერ აღრიცხავს საქართველოს ხელისუფლება. რუსეთის ფედერაციის საზღვრის დაცვის სამსახურის მონაცემებით, დაკავებულთა რაოდენობა 2009-2016 წლებში 14 000-ს შეადგენდა[10]. აღნიშნული სტატისტიკა წარმოაჩენს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გალში მცხოვრები მოსახლეობისათვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმოსვლა, არსებული ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის მიზნით, და ოჯახური კავშირების გამო.

საქართველოს ოფიციალური უწყებების მონაცემებით, დაკავებების სტატისტიკა წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება (აღნიშნული მონაცემებით, დაკავებების რაოდენობა აფხაზეთის გამყოფი ხაზის მიმართულებით, მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 5-10%-ს შეადგენს)[11]:

წლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
დაკავებულთა საერთო რაოდენობა	224	300	532	517	504	327
არასრულწლოვნები	7	8	16	14	22	21
ქალები	15	62	111	98	57	32

ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დაკავებულთა მიმართ ადგილი აქვს ფიზიკური ძალადობის ფაქტებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სახალხო დამცველის აპარატისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014-2016 წლებში აფხაზეთის გამყოფ ხაზზე დაკავებისას ან დაკავების შემდგომ ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტის თაობაზე განაცხადა 26-მა მოქალაქემ, ხოლო სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზზე 11-მა მოქალაქემ[12]. დაკავებული მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ გალის რაიონში განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზის სარდაფებში არ არის სათანადო პირობები, დაკავებულებს არ მიეწოდებათ წყალი და საჭმელი, ათეულობით ადამიანს ერთ ოთახში ათავსებენ, განურჩევლად სქესისა და ასაკისა[13].

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნის საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიასთან დამაკავშირებელი გადასასვლელი პუნქტების გაუქმება. 2013 წლიდან 2016 წლამდე ოკუპირებულ აფხაზეთსა და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიას აკავშირებდა 5 გადასასვლელი პუნქტი: ენგურის ხიდზე არსებული გამშვები პუნქტი,

---

[9] *იგივე*

[10] გვ. 770, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016 წელი.

[11] გვ. 12, სახალხო დამცველის ანგარიში „კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“.

[12] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ქალთა და ბავშვთა უფლებები კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში“, 2014-2016 წლების მიმოხილვა.

[13] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომაროების შესახებ, 2017 წელი.

შამგონა-თაგილონი, ხურჩა-ნაბაკევი, ოტობაია-ორსანტია და საბერიო-წყოუში. შამგონა-თაგილონის გადასასვლელი პუნქტი 2016 წლის აპრილში გაუქმდა, ხურჩა-ნაბაკევისა და ორსანტია-ოტობაიას - 2017 წლის 4 მარტს[14]. შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილებისათვის მხოლოდ ორი - ენგურის და საბერიო-წყოუშის გადასასვლელი დარჩა. აღნიშნული გადასასვლელების გაუქმებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა გალის რაიონის მოსახლეობის ცხოვრების თითოეულ ასპექტზე, მათ შორის, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობაზე, ოჯახურ ურთიერთობებსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე. საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორის, ნილს სკოტის განცხადებით, აღნიშნული გადასასვლელების გაუქმება გავლენას მოახდენდა დღეში დაახლოებით 1000 გადამსვლელზე და კიდევ უფრო მეტ იზოლაციაში მოაქცევდა გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას[15].

ოტობაია-ორსანტიას აფეთქებულ ხიდზე გაუქმებული საცალფეხო გადასასვლელი

გადასასვლელების გაუქმებასთან ერთად, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ თითქმის გაასამმაგა ჯარიმები ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დაკავებული პირების წინააღმდეგ. 2016 წლამდე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირი დაკავებისას 2000 რუსულ რუბლს (დაახლოებით 80 ლარი) იხდიდა, 2017 წლიდან კი ჯარიმა 4800-დან 6000 რუსულ რუბლამდე (დაახლოებით 210-260 ლარი) გაიზარდა. განმეორებით დარღვევის შემთხვევაში მოქმედებს ადმინისტრაციული პატიმრობა[16]. „საზღვრის უკანონო კვეთასთან“ დაკავშირებული საჯარიმო სანქციები გამკაცრდა ასევე სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ. დე ფაქტო პარლამენტმა მიიღო კანონი „საზღვრის დამრღვევთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრების

[14] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „გადასასვლელების გაუქმების გავლენა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე“

[15] *იგივე*

[16] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომაროების შესახებ, 2017 წელი.

შესახებ“. ახალი კანონის მიხედვით, საჯარიმო სანქციები ფიზიკური პირებისათვის 5 ათასი რუბლიდან 20 ათას რუბლამდე (დაახლოებით 700 ლარი) გაიზარდა[17].

აფხაზეთის გამყოფ ხაზზე გადასასვლელი პუნქტების გაუქმებამ მძიმე დარტყმა მიაყენა ოკუპირებული გალის რაიონის ე.წ. ქვედა ზონის 11 სოფელში მცხოვრებ დაახლოებით 3 400 ოჯახს, რომლებიც ყველაზე ხშირად სარგებლობდნენ აღნიშნული გადასასვლელებით. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახვედრად ადამიანებს ახლა მხოლოდ ენგურის ხიდით სარგებლობა შეუძლიათ, რაც გაცილებით ახანგრძლივებს როგორც მგზავრობის დროს, ასევე საფასურს. გაზრდილია ენგურის ხიდზე ტვირთის გადატანისათვის გადასახადი თანხაც. ამ გადაწყვეტილებამ განსაკუთრებით დააზიანა ის გლეხები, რომლებსაც მცირე ოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტი ზუგდიდის ბაზარში რეალიზაციის მიზნით კვირაში რამდენჯერმე გადმოჰქონდათ, რაც მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ასევე იმ ასაკოვან მოსახლეობას, რომელიც ოჯახური კავშირების შენარჩუნების, ასევე სხვადასხვა სოციალური თუ ჯანდაცვის მომსახურების მიზნით კვეთდა გამყოფ ხაზს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებით[18].

ზემოაღნიშნული ფუნდამენტური უფლებების მასობრივ დარღვევასთან ერთად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ, დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენლების მხრიდან ფიქსირდება სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტები. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით დღემდე არ გამოვლენილა და არ დასჯილა პასუხისმგებელი პირები. 2016 წლის 19 მაისს, აფხაზეთის გამყოფ ხაზზე გიგა ოთხოზორია ხურჩა-ნაბაკევის გამშვებ პუნქტზე პროდუქტის გადატანას ცდილობდა, როდესაც მას აფხაზმა ე.წ. მესაზღვრემ შელაპარაკების შემდეგ სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა[19]. 2018 წელს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ დააკავა არჩილ ტატუნაშვილი, რომელიც, არსებული ინფორმაციით, ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში დაკითხვისას ციხეში წამებით მოკლეს[20].

მეთოდოლოგია

აღნიშნული პრობლემების უკეთ შესწავლის მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა - ნინო ცაგარეიშვილმა, უჩა ნანუაშვილმა და ალეკო ცქიტიშვილმა განახორციელეს გასვლითი ვიზიტები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან, სადაც მოახდინეს ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვა მათი უფლებების დარღვევებთან და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით, ასევე ადგილზე გაეცნენ ბორდერიზაციის შედეგად შექმნილ პრობლემებს. შეხვედრები გაიმართა, ასევე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. ადამიანის უფლებათა ცენტრმა, საერთო ჯამში, განახორციელა 8 ვიზიტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებთან განლაგებულ 27 სოფელში. სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან ვიზიტები განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტში არსებულ შემდეგ სოფლებში:

---

[17] რადიო „თავისუფლება“ - „გამკაცრებული სანქციები და უფლებაშელახული ცხინვალელები“.

[18] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017 წელი.

[19] ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში „ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2016“.

[20] ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში „ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2018“.

ბერშუეთი, კირბალი, დიცი, ერგნეთი, ზარდიაანთკარი, გუგუთიანთკარი, დვანი, კნოლევი, ხურვალეთი, ფლავისმანი, კერე, მერეთი, კოშკა, თვაურები, ლამისყანა, ოკამი, სარიბალი, ზადიანთკარი, ოძისი, ბაქაქურები. აფხაზეთის გამყოფ ხაზთან ვიზიტები განხორციელდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ორსანტია, ხურჩა, განმუხური, ფახულანი, შამგონა, რიყე და ტყაია. ანგარიშის შედეგად გამოვლენილი პრობლემები გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით. ანგარიშში არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელ სოფელში ვითარდება მოვლენები, რადგანაც აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს პირის იდენტიფიკაცია, რაც არასასურველია უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე. თუმცა, მითითებულია რომელი რეგიონის გამყოფი ხაზის გასწვრივ დაფიქსირდა უფლებადარღვევების კონკრეტული შემთხვევები.

ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება

დაკავებები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და მოსახლეობისათვის მოულოდნელად

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2018 წელს გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისაგან, თუ სად ფიქსირდება თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ყველაზე ხშირად. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, *„ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონო დაკავებები ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდებოდა და საოკუპაციო ძალების აქტიურობა შეიმჩნევა როგორც გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის და დუშეთის, ასევე, საჩხერის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით კი, რუსეთის საოკუპაციო ძალების და ოკუპირებული აფხაზეთის წარმომადგენლების მიერ უკანონო დაკავებები ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით, ოკუპირებული გალის მიმდებარე სოფლებში ხორციელდებოდა“.*

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობა აღნიშნავს, რომ რუსი მესაზღვრეები ზოგჯერ მათ მიერ დამონტაჟებული სასაზღვრე ნიშნის მიღმა გადმოდიან საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ამ გზით აკავებენ ადგილობრივ მოსახლეობას. ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა 2018 წლის განმავლობაშიც. აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ ერთ-ერთ სოფელში ადგილობრივმა მცხოვრებმა აღნიშნა:

> *„ისინი რომ პატრულირებას აკეთებენ საზღვარზე, ჩვენმა სამხედროებმაც რომ გააკეთონ კარგი იქნება. მთელი დღე დადიან, დღისით, მზისით და საღამოს. იქით თუ არ შეიძლება გადასვლა, აქეთ რატომ გადმოდიან ისინი?! აქეთ დაიჭირეს ჩვენიანი, საზღვრის აქეთ, 20 მეტრში. აქეთ გადმოვიდნენ რუსები და ეს გაიქცა. რომ წაეყვანათ, ყველაზე ცოტა, 5000 მანეთი ექნებოდა გადასახდელი“.*

„შეშა მქონდა დახერხილი და ურემი მყავდა. ერთი რეისი გამოვიტანე, მეორეზე უკვე ხმელი ტოტის გატეხვის ხმა გავიგონე. ავიხედე და დავინახე, რომ მესაზღვრე თხრილში ჩავიდა. მე გავიქეცი. იმიტომ გავიქეცი, რომ ის მარტო არ იქნებოდა, ორნი იქნებოდნენ და წამიყვანდნენ. 60 მეტრით აქეთ შემოვიდნენ ეზოში. წავიქეცი და დამადგნენ თავზე. ვკითხე, რა გინდათ - მეთქი, მე საზღვარი არ დამირღვევია და არაფერი. არაფერს არ მეუბნებოდა. სხვებს ელოდებოდა. იქიდან დავინახე მეორე ძაღლი. ცხოვრებაში არ მინახავს ამხელა. მე ვიფიქრე, ახლა კარგად იყავი- მეთქი. ერთი შევუკურთხე და გავიქეცი“.

2018 წლის განმავლობაში საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რუსი მესაზღვრეების გადმოსვლაზე მათ მიერ დამონტაჟებული სასაზღვრე ნიშნების მიღმა, აფხაზეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, საუბრობს ასევე სხვა პირი:

„გადმოვიდა, გაიარა ერთი ორასი მეტრი, მოტრიალდა და გადავიდა ისევ უკან. ბავშვმა ვიდეოც კი გადაუღო, სკოლიდან მოდიოდნენ, თურმე და უთქვამთ, გადაუღე ერთი ფოტოო. ფეისბუკზეც კი დადო ბავშვმა. თუმცა, აუღია ისევ. არ შეიძლებაო და აუღია ისევ. მაგრამ, ზოგიერთებმა მაინც ნახეს“.

მსგავს შემთხვევაზე საუბრობს ასევე სხვა პირი აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე იგივე სოფელთან დაკავშირებით. შემთხვევა 2017 წელს დაფიქსირდა:

„ჩემი მეუღლე დაიჭირეს. საზღვართან იყო ურმით. იქით ხომ ვერ გადავიდოდა?! რომ წავიდა, არ მოვიდა კაცი. არ მოვიდა და წავედი მოსაძებნად. ვნახე, ცხენი მიბმული იყო ხეზე. კაცი არ იყო. ვეძახე, ვეძახე და მერე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. მე აფხაზეთიდან ვარ და დავურეკე ჩემს დას, მანქანა მოიყვანე-მეთქი. ორსანტიის ხიდი არ იყო მაშინ ჩაკეტილი. ავიღე ფული და საბუთები, გადასვლა შემეძლო იქით. გალში ჩემი ქმარიც მიიყვანეს და მე და ჩემი დაც მივედით. შაბათი დღე იყო. ამ დროს ერთი კაცი რჩება თურმე მეთვალყურე. ბევრი იყო დაჭერილი: ქალი, ბავშვი, კაცი. 30-მდე იყო. მოგროვებული იყვნენ საზღვრიდან. ჩემს მეუღლეს ხელი არ მოუწერია არაფრისთვის, მე არ დამირღვევია საზღვარიო. მოაწერე ხელიო, მაგრამ ამან ხელი ვერ მოაწერა. ნახეთ, სად არის ჩემი ცხენი და ურემი და მერე მოვაწერ ხელსო. მე საზღვარი არ დამირღვევიაო“.

ხშირად ადამიანებს მაშინ აკავებენ, როდესაც ისინი ტყეში შეშის საჭრელად მიდიან. შეშა ადგილობრივ მოსახლეობას გასათბობად სჭირდება, რადგანაც, მათი ინფორმაციით, ელექტროენერგია ძვირია, რისი სახსრებიც მათ არ აქვთ. ასეთ ფაქტთან დაკავშირებით კომენტირებისას, 2017 წლის შემთხვევასთან დაკავშირებით, აფხაზეთის გამყოფ ხაზთან მოსახლე ერთ-ერთმა ადგილობრივმა აღნიშნა: *„ტყეა პატარა და იქ დაიჭირეს ჩემი ქმარი. დენი ბევრს წერს და შეშას ვიმარაგებთ. მეუღლეს უკვე ეშინია, ხე რომ მოჭრას და მოიტანოს“.*

მსგავსი შემთხვევის შესახებ ჰყვება, ასევე, სხვა პირი, რომელიც 2018 წელს დააკავეს. როგორც მამაკაცი აღწერს, იგი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დაკავეს, რა დროსაც რუსი მესაზღვრეები მათ მიერ დამონტაჟებული სასაზღვრე ნიშნების მიღმა გადმოვიდნენ.

ერთ-ერთი დაკავებული პირის ინფორმაციით, იგი დააკავეს მავთულხლართების გამოღმა 150 მეტრის მანძილზე. მისი ინფორმაციით, რუსი მესაზღვრეები მავთულხლართებს გადმოსცდნენ: *„მავთულხლართები ხომ არის და იქიდან 150 მეტრით აქეთ იყვნენ გადმოსულები. ერთი-ორჯერ ვიყავი იქ და არავინ შემიმჩნევია. მერე ცხენზე ვიჯექი და დამიჭირეს. იქიდან გალში გადამიყვანეს. ცხენიდან ჯოხი მოვიქნიე. გაქცევა მინდოდა. არ ვუცემივარ. 25 დღე ვიყავი გალში, საკანში. მერე გამომიშვეს“.*

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ ერთ-ერთი დაკავებული პირის ინფორმაციით, სოფლიდან საქონელი ხშირად მიდიოდა გამყოფი ხაზის მიმართულებით და ებმებოდა მავთულხლართებში. ერთხელაც, როცა საქონელი დაიკარგა, კაცი წავიდა მავთულხლართების მიმართულებით საქონლის მოსაძებნად. თუმცა, როგორც იგი აღნიშნავს, საქონელი ვერ იპოვა და შემობრუნდა, გამყოფი ხაზის გადაკვეთის გარეშე. მისი ინფორმაციით, ამის შემდეგ დაედევნა ოთხი ფორმიანი ადამიანი, ავტომატით, რომლებმაც დაიჭირეს, ხელბორკილები დაადეს და გალში წაიყვანეს, სადაც გამომძიებლები გაესაუბრნენ. ამ გასაუბრებასთან დაკავშირებით, კაცი აღნიშნავს:

> *„შემეკითხნენ, თუ მქონდა საბუთი. სად იყავიო. მე ვუთხარი, საზღვრიდან 200 მეტრით ვიყავი დაშორებული-მეთქი. აბა ესენი როგორ გადმოვიდნენო - მკითხეს. დაარღვიეს მაგათ-მეთქი. რას ამბობ შენო და მაინც გააფორმეს ჯარიმა. ადვოკატმა მითხრა, წამოდი და საზღვართან გადაიღე სურათიო, ვითომ დაარღვიეო. მე ვუთხარი არ წამოვალ-მეთქი. სადაც დამიჭირეთ, იქ გადამიღეთ სურათი-მეთქი“.*

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ერთ-ერთ სოფელში, სადაც მავთულხლართებია გავლებული, ერთ-ერთი დაკავებული პირისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, იგი მავთულხლართებამდე დაახლოებით 400-500 მეტრის მოშორებით დააკავეს. დაკავების პროცესს კაცი შემდეგნაირად აღწერს: *„უკან ყვირილი შემოგვესმა. ჩაგვარტყეს კონდახები და ორივე გაგვთიშეს. წაგვიყვანეს ორივე. როცა გამოვფხიზლდით, მანქანაში ვიყავით“.*

სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ ერთ-ერთ სოფელში, 2018 წელს დაფიქსირდა შემდეგი შემთხვევა: მამაკაცი, მისი შვილი და მესამე მამაკაცი დააკავეს ტერიტორიაზე, რომელიც, მათი ინფორმაციით, დაშორებული იყო ე.წ. გამყოფ ხაზად მიჩნეული ტერიტორიიდან 20 მეტრით. ერთ-ერთი დაკავებული მამაკაცი ამბობს:

> *„მაგათ საზღვრიდან, ბილიკს რასაც ეძახიან, 20 მეტრით დაშორებული ვიყავი. მე გამოვძახე ამათ, თავზე რომ დამადგნენ. ისინი იყვნენ ჩასაფრებულები, მერე მითხრეს, გუშინაც დაგინახეთ რომ გადადიოდიო. რომ არ გავუძალიანდი, მშვიდად დამიწყეს ლაპარაკი. ჩემი ერთი მეზობელი გაუძალიანდა მათ ადრე და კბილებსა და ნეკნებში ჩაარტყეს კონდახი, დაუზიანეს. ახალი ნაოპერაციები ვიყავი და მოვერიდე“.*

სამხრეთ ოსეთის გასწვრივ მდებარე სოფელში რუსი და ოსი მესაზღვრეების მხრიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლაზე საუბრობენ სხვა დაკავებული პირებიც. ერთ-ერთი მათგანი ჰყვება:

იქით ვეღარ ვაძოვებთ საქონელს. აქეთ ვაძოვებდი, ჩვენს ფართობში. რომ დამინახა, წამიყვანეს. ჩემმა შვილმა დედამისს დაურეკა - მამა წაიყვანესო. მაშინ 30 წლის იყო ჩემი შვილი. ორივენი წაგვიყვანეს. ავტომატი მიგვიშვირეს და ზემოთ სოფელში აგვიყვანეს. იქიდან მანქანით წაგვიყვანეს დისევის შტაბში. იქ მითხრეს, საზღვარი დაარღვიეო. მერე წამიყვანეს ცხინვალში. იქ 1 ღამე ვიყავი. გაიმართა სასამართლო. ჩემმა მამიდაშვილმა გადაიხადა ფული - ოსია, იქ ცხოვრობს. მეორე დღეს გამომიშვეს სახლში. 1 ღამე ვიყავი და ის 1 ღამე საუკუნე იყო. ცემით არ ვუცემივართ. მარტო ქართველები ვიყავით, მხოლოდ 1 ოსი შემოიყვანეს მერე. რომ მივედი, 2 ადამიანი იყო. დილამდე 7-8 გავხდით. სასამართლოზე გამასამართლეს. ვუთხარი რომ არ გადამილახავს საზღვარი, მაგრამ ჩვენს სიტყვას იქ ძალა არ აქვს".

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ დე-ფაქტო და რუსეთის ხელისუფლებების მიერ თვითნებურად გავლებულია მავთულხლართები ზოგიერთ სოფელში, ასევე გარკვეულ სოფლებში ე.წ. გამყოფი ხაზი მონიშნულია სხვადასხვა სასაზღვრე ნიშნებით, მათ შორის, ბანერებითა და ღობეებით.

<u>დე ფაქტო და რუსეთის ხელისუფლებების მიერ გამყოფ ხაზებზე აღმართული ნიშნები და ბარიერები</u>

გარკვეულ ადგილებში, შესაბამისი აღნიშვნებისა და ინფორმაციის არარსებობის გამო, მოსახლეობისათვის უცნობია, არის თუ არა კონკრეტული ტერიტორია სახიფათო, სადაც მოსალოდნელია უკანონო დაკავებები დე-ფაქტო და რუსეთის ხელისუფლების სასაზღვრო ძალების წარმომადგენლების მხრიდან. ადამიანის უფლებათა ცენტრმა დააფიქსირა შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა გარკვეული ტერიტორიით სარგებლობდა ბოლო წლების განმავლობაში, სადაც არ იყო ე.წ. გამყოფი ხაზის აღმნიშვნელი რაიმე ნიშანი. თუმცა, ყოვლად მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, აღნიშნულ ტერიტორიაზე დაფიქსირდა უკანონო დაკავებები.

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ერთ-ერთ სოფელში ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა მოინახულეს ასაკოვანი ქალი, რომლის სახლის გვერდით მდინარე მიედინება. ქალის თქმით, მდინარის გაღმა არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწა მას და მის მეუღლეს ეკუთვნის, რომელსაც ისინი წლების განმავლობაში ამუშავებდნენ. როგორც ქალი ამბობს, ახლოს მცხოვრები დაახლოებით ექვსი ოჯახი იყო მსგავს მდგომარეობაში - ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო მიწები მდინარის გაღმა, ამუშავებდნენ ამ მიწებს და ჰყიდდნენ მოყვანილ პროდუქტს, რაც წარმოადგენდა მათი შემოსავლის ძირითად წყაროს. ქალის თქმით, 2017 წელს, ის და მისი მეუღლე ნაკვეთში მუშაობისას სრულიად მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დააკავეს.

ტერიტორია აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ, რომლის გაღმა მოსახლეობა ამუშავებდა საკუთარ მიწას

„პრობლემა არ გვქონდა ჩვენ რომ ამ ფართობებში გვემუშავა. ამ კუთხეში დაახლოებით ექვსოჯახს აქვს გაღმა ფართობი. შემდეგ, სოფლის თავში, იქითაც არიან, იქითაც ჰქონდათ ფართობები და ვამუშავებდით ჩვეულებრივად, ერთი ორი-სამი წლის უკან. არავითარი პრობლემა ჩვენ არ გვქონია. მე და ჩემი მეუღლე წაგვიყვანეს, მაგრამ ერთი ზედმეტი სიტყვა არ უთქვამთ. უკან წამოსასვლელი ფული არ მქონდა. იმ კაცმა მითხრა, მოგცემ ფულსო. იმან წამომიყვანა აქეთ მანქანით. ჯარიმა არ გადამიხდია. მე ვუთხარი, შვილი მომიკვდა და იმის ფულია, რომ საფლავი გავუკეთო-მეთქი. აფხაზი გაგიჟდა, აქ როგორ ჩამოგიყვანეს რუსებმაო. მერე იმ აფხაზმა მითხრა, მე წაგიყვანო. საჭმელი მომაწოდა - ჭამე ბებია, ნაჭამი არ იქნებიო“.

სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ, ერთ-ერთ სოფელში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ადგილობრივი მოსახლე მის კუთვნილ ბაღში დააკავეს. აღნიშნული ტერიტორია იმყოფება რუსი მესაზღვრეების მიერ გავლებული მავთულხლართის მიღმა, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. დაკავებული პირის ინფორმაციით, რუსი მესაზღვრეები ე.წ. გამყოფ ხაზზე, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დაახლოებით 80 მეტრით იყვნენ გადმოსულები. დაკავებული პირის ინფორმაციით, იგი ოსებმა დააკავეს.

„ფორმა ეცვათ, შეიარაღებულები იყვნენ. მე მარტო იმ დროს შემეშინდა, როცა წამოდგნენ ნიღბიანები. მერე აღარ შემეშინდა. გავუწიე წინააღმდეგობა, მაგრამ რას გავაწყობდი?! იარაღი ჰქონდათ. ბორკილები ამოიღეს და ელექტროშოკი მეგონა თავიდან და ძალიან შემეშინდა. მერე მიწაზე დამაწვინეს და ბორკილების გაკეთება უნდოდათ, ხელები და კისერი გაშავებული მქონდა, ხელს ისე მიჭერდნენ. მცემეს. ვიცოდი, რომ ჩემი მეუღლე უნდა ამოსულიყო. ქარი ქროდა და ვიფიქრე, კაკალი იქნება ჩამოცვენილი და ავკრეფ-მეთქი. ჩემმა მეუღლემ - მეც ამოვალო და ვყვიროდი - არ მოხვიდე-მეთქი. მარტო ამას ვყვიროდი. მერე იქით ძალით გადამათრიეს. ორნი იყვნენ, მათ შორის ერთს ნებისმიერ დროს ვიცნობ, მაგრამ მეორეს ბოლომდე ჰქონდა ნიღაბი ჩამოფარებული და ვერ ვიცნობ მის სახეს. რუსების ბაზაზე რომ მიმიყვანეს, რუსებმა ყინული მომიტანეს, ხელზე დაიდეო, სისხლჩაქცევები მქონდა.

მიმიყვანეს წინაგარაში და თვალები ამიხვიეს. მერე შემიყვანეს, ალბათ, ეზოში, კიბეზე ჩამიყვანეს. ორი საფეხური იყო, მერე გასავლელი და მერე 12 საფეხური. მეუბნებოდნენ რუსულად გველაპარაკე, შენ კარგად იციო. მე ქართულად ვპასუხობდი - არ ვიცი-მეთქი. რამეს რომ მეკითხებოდნენ, არ ვიცი-მეთქი. მთხოვდნენ - აღიარე, რომ საზღვარი გადმოლახე და დაარღვიე და გაგიშვებთო. მე ვუთხარი - არაფერი დამირღვევია, ესენი გადმოვიდნენ და წამიყვანეს-მეთქი. ჰოდა, მავთულების იქით 50 მეტრი ჩვენიაო. მეთქი თუ თქვენია, მე იქამდეც არ ვიყავი მისული-მეთქი. ეს ისეა დამუშავებული, მაინც არ აღიარებს და იცის, რომც აღიაროს, იქ მაინც არ მივიყვანთო, თქვეს. მე გამეცინა მათ სიტყვებზე. რატომ იცინიო - მკითხეს. ისე-მეთქი - ქართულად ვპასუხობდი. ოსურიც მესმის კარგად და რუსულიც. უბრალოდ, მე ვერ ვლაპარაკობ. მერე ამობეჭდეს საბუთები. ასი ფურცელი მაინც იყო და იქ მომაწერინეს ას ფურცელზე ხელი. მხოლოდ იქ არ

მოვაწერე ხელი, სადაც ეწერა, საზღვარზე გადმოვედიო. მერე მოვიდნენ, სასწრაფოდ მოაწერე ამაზე ხელიო. მაშინ იყო ზეწოლა, ხელი არ დაურტყამთ, მაგრამ მეჩხუბნენ, მაგინებდნენ რუსები.

სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დაკავებული ერთ-ერთი პირი ამბობს:

„2016 წელს დამიჭირეს პირველად და მეორედ 2017 წელს. პირველად ეგრევე დამადგნენ. საქონელს ვმწყემსავდი და მეორედ მიმიტყუეს. საქონელი იყო იქით გადასული და დამიძახეს - მოდი, ნუ გეშინია, წაიყვანე საქონელიო. ჰოდა, მივედი და გადმოვიდნენ ავტომატებით და დამიჭირეს. რას გავუძალიანდებოდი?! პირველად რომ დამიჭირეს, ორნი ვიყავით, მეორედ კი მარტო ვიყავი. დისევში შტაბი აქვთ დიდი და იქ წამიყვანეს, ყველაფერი მომაყოლეს. ვუთხარი, რომ მიმიტყუეს, მაგრამ ეგ რაში აინტერესებთ იმათ. შტაბიდან რუსებმა მანქანით წამიყვანეს. ჩემი მეზობელიც დაიჭირეს მამა-შვილი. ისინიც მიიტყუეს. პირველად რომ ვიყავი, მეშინოდა, საქონელი არ წაიყვანონ-მეთქი, მაგრამ არ წაიყვანეს. თვითონ გადმორეკეს, მე როცა წამიყვანეს. საქონელი ტრაფარეტს ქვემოთ იყო მაშინაც, მაგრამ ისინი იყვნენ გადმოსულები. მე არ მივდიოდი გადმოსაყვანად. მეშინოდა და თვითონ მეძახეს - ნუ გეშინიაო. ალბათ, ჯილდოს აძლევენ, როცა იჭერენ".

სამხრეთ ოსეთის ე.წ. გამყოფი ხაზის გასწვრივ, დაკავებები ხშირიატყეში, სადაც კონტროლის დამყარება უჭირს საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს. აღნიშნული ტერიტორია არ არის მონიშნული რაიმე ნიშნებით, რაც დაეხმარებოდა მოსახლეობას, მიეღო სიფრთხილის ზომები.

2018 წელს დაკავებული ერთ-ერთი პირი ამბობს: *„მავთულხლართები ტყეში არ არის. აქ გამართლებაზეა. შეიძლება, ვინმე მოვიდეს, შეიძლება - არა. თუმცა, მაინც ვრისკავთ, დავდივართ შეშაზე. შეიძლება არც წაგიყვანონ, რუსული რომ იცოდე, მაგრამ რომ ვერაფერს ვაგებინებთ, უკვე მივყავართ".*

დაკავებები „საჭირო" დოკუმენტაციის არსებობის მიუხედავად

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამყოფი ხაზის მიღმა გადამსვლელ პირებს აქვთ საჭირო დოკუმენტაცია, მაგალითად - აფხაზური პასპორტი, მათ მაინც აკავებენ, როდესაც ისინი არ სარგებლობენ დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაწესებული ოფიციალური გადასასვლელი პუნქტით - ენგურის ხიდით. ასეთი შემთხვევებია, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობს შემოვლითი გზებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლას, რადგანაც ენგურის ხიდი მათი სოფლიდან დიდ მანძილზე მოშორებით მდებარეობს და მისით სარგებლობა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს და დროს მოითხოვს. მსგავსი შემთხვევისას, 2016 წელს დაკავებული ერთ-ერთი ქალი ამბობს (აღნიშნულ ქალს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები გაესაუბრნენ 2019 წლის იანვრამდე, სანამ გაუქმდებოდა აფხაზური პასპორტები):

„შარშანწინ ორივე ცოლ-ქმარი შვილის მოსანახულებლად ვიყავით. ჩემი შვილი იქ იყო გათხოვილი. თავდაპირველად იქით ცხოვრობდა. იძულებული რომ გახდნენ, მერე გადმოვიდნენ აქეთ. წავედი შვილის მოსანახულებლად, თანაც - ნაოპერაციები. 2015 წელს გამიკეთეს ოპერაცია და თან 15 ქიმიოთერაპია. თმებიც არ მქონდა ამოსული. ქუდით დავდიდი. მივედით და მეორე დღეს რომ მოვდიოდით, ჩემს მეუღლეს ვუთხარი, მოკლე გზით წავიდეთ-მეთქი. არ შემეძლო იქიდან წამოსვლა. მას არ უნდოდა მოკლე გზით გადმოსვლა - იქნებ დგანან იქო (რამდენიმეჯერაა დაჭერილი ჩემი მეუღლე), დამიჭერენო და შენ უფრო ცუდად გახდებიო. დამიჯერე და წავიდეთ გალის გავლით, ცენტრალური გზითო. მე ვუთხარი - სამ საათამდე არ დგანან-მეთქი, როგორც გაგებული მქონდა და ასე წავედით. ვხედავდი, ვიღაცები ჩემ წინ გადმოვიდნენ საზღვარზე ისე, რომ არ დაუკავებიათ. ჩემს მეუღლეს ვუთხარი, გადავიდა ხალხის ნაკადი, წამოდი, არ დგანან-მეთქი. ცოტა ავჩქარდი, წინ მივდიოდი, ის უკან მომყვებოდა. ტყეში ყოფილან დამალული. გამოვარდა ერთი რუსი და დამიძახა. გავჩერდი, სირბილის თავი არ მქონდა. რომ მერბინა, გავუსწრებდი ჩვეულებრივად, მაგრამ ნაოპერაციებს სირბილის თავი არ მქონდა. დაკავებული ხარო. ჩემი ქმარიც მოვიდა. ორნი იყვნენ. მე ვუთხარი - შვილი ვნახე და გალში ვიყავი კიდევ ნათესავის სანახავად-მეთქი. „არ შეიძლება რომ ვინახულო ნათესავი?“ - ვკითხე მათ. არ დამიხრია თავი, ვუთხარი: ნახე პასპორტი-მეთქი. იქაური პასპორტი მაქვს. ყველას აქვს იქაური პასპორტი. რად მინდა ეგეთი ტყუილი. ორი სახლი მაქვს იქ დატოვებული და არ მინდა, დამეკარგოს ის სახლები“.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, როდესაც აფხაზური პასპორტის მქონე ცოლ-ქმარი შემოვლითი გზით სარგებლობისას დააკავეს, მათთვის ჯარიმა არ გამოუწერიათ: *„დილით ხომ დაგვიჭირეს და საღამოს ათ საათზე წაგვიყვანეს მერე გალში. ჩემთვის და ჩემი ქმრისთვის ჯარიმა არ გამოუწერიათ. აფხაზმა უთხრა - რატომ დააკავეთო?! ქალბატონს პასპორტიც ჰქონდა და მიდიოდა ნათესავის სანახავადო“.*

არასათანადო მოპყრობა დაკავებისას

სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან მდებარე ერთ-ერთ სოფელში დაკავებული მოქალაქე იხსენებს არასათანადო მოპყრობის ფაქტებს რუსი მესაზღვრის მხრიდან. მოქალაქის ინფორმაციით, იგი დააკავეს 2015 წელს, ტყეში, სადაც იმყოფებოდა ცხენით და ურმით. დაკავებულის მონათხრობით, რუსი მესაზღვრე მოულოდნელად ამოხტა ხევიდან ავტომატით და ნიღბით. იარაღის მუქარით, რუსმა მესაზღვრემ იგი აიძულა, დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე პირქვე დაწოლილი ყოფილიყო მიწაზე. რუსმა მესაზღვრემ მას, ასევე, წაართვა ფეხსაცმელი. ფაქტი მოხდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. თუმცა, დაკავებულის ინფორმაციით, რუსი მესაზღვრეები აცხადებდნენ, რომ ეს ტერიტორია საქართველოს არ ეკუთვნის. ტერიტორიაზე იმ დროისათვის არ ყოფილა ბანერი, ან რაიმე სხვა ე.წ. სასაზღვრე ნიშანი. დაკავებულისინფორმაციით, რუსი მესაზღვრე მისგან ითხოვდა 10 000 ლარის ეკვივალენტ თანხას: *„მარტო ეს მითხრა - თუ არ გადაიხდი, წაგიყვანო. ზევით სოფელია - წობი. კაზაკები არიან და იქ გაგატყავებენო, იქ ჩაგაბარებო - ეგ მითხრა მარტო. ისევ დამაწვინა, მერე ადგა და ბათინკები გამხადა*

და ფეხით მატარა. ვეხვეწებოდი, ფეხშიშველა ნუ მატარებ, ურემზე მაინც დამსვი-მეთქი, მაგრამ - არა! მერე შევეცოდე და გამომიშვა".

დაკავებულის თქმით, მან ამ ფაქტის შესახებ შეატყობინა პოლიციას, მაგრამ პოლიციამ რეაგირება ვერ მოახდინა *„პოლიციაც მოვიდა. ვუთხარი, წამო, დაგაჭერინებთ-მეთქი, მაგრამ - არაო, გვესვრიან ისინიო. ოქმი შეადგინეს, მაგრამ არაფერი. არც ბათინკები მოუტანია ჩემთვის ვინმეს და არც არაფერი".*

სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან საქართველოს კონტროლირებად ერთ-ერთ სოფელში დაკავებული პირი, მისი და მეზობლის დაკავებას შემდეგნაირად აღწერს:

„რომ არ გავუძალიანდი მშვიდად დამიწყეს ლაპარაკი. ჩემი ერთი მეზობელი გაუძალიანდა მათ და კბილებსა და ნეკნებში ჩაარტყეს კონდახი, დააზიანეს. მე ახალი ნაოპერაციები ვიყავი და მოვერიდე".

ერთ-ერთი პირი, რომელიც სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ ერთ-ერთ სოფელში, სასაფლაოს ტერიტორიაზე 2016 წელს დააკავეს, დაკავების პროცესს შემდეგნაირად აღწერს:

„სასაფლაოს ნახევარი ჩვენს საზღვარს ეკუთვნის. მე იმათ ნახევარზე დამაკავეს. მაგრამ, ჩვენი მკვდრები იქ არიან დასაფლავებულები. 1 კვირის წინ ბიჭი დავასაფლავეთ და მივედი, საფლავი ვნახე. ორნი იყვნენ და ვუთხარი, არ დამირღვევია, ეს ჩვენი ტერიტორიაა-მეთქი. ბორკილების დადება დამიწყეს და არ მივიკარე. მეჭიდავნენ. ამ ჭიდაობაში 50 მეტრი ქვემოთ წამოვიყვანე, დაიღალნენ ისინი და მეც დავიღალე. ავტომატებიც ჰქონდათ. ერთი ციმბირელი იყო, მეორე ყაზახს ჰგავდა, მოვიწევდი ქვევით-ქვევით, 52 წლის ვარ და დავიღალე. ხან იქ გავისროდი იმ ბორკილებს და ხან აქეთ, ბოლოს მეორემ ავტომატი ჩამარტყა, ზემოდან გავიხადე და სისხლით შევიღებე. ბორკილების საძებრად რომ წავიდნენ, მე გამოვეცალე, ჩვენს გზაზე დავდექი".

არასათანადო პირობები

2016 წელს დაკავებული ერთ-ერთი პირი, რომელიც დაკავების შემდეგ ჯერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ სოფელ ოტობაიას დროებითი იზოლატორის საკანში მოათავსეს, საუბრობს იქ არსებულ არასათანადო გარემოზე. კერძოდ, მისი თქმით, საკანში დილიდან საღამომდე მოათავსეს, მაშინ როცა ეს საკანი მხოლოდ 3 საათით მოთავსებისათვის არის განკუთვნილი. ქალი ასევე აღნიშნავს, რომ აქ მოთავსებისას მათ არ მოუტანეს სასმელი წყალი:

„ჩემმა მეუღლემ ორჯერ დაიძახა, როდემდე ვიქნებით აქო. ადამიანები არ ხართ, ქალი არაა ჯანმრთელად და დროზე წაგვიყვანეთო. ჩვენ ვიცით, როდის წაგიყვანთო, არასასიამოვნო ტონით დაგვიძახეს. გალში რომ მიგვიყვანეს.

აფხაზმა რუსებს იქ უყვირა - ასეთი ავადმყოფი ქალი იქ როგორ გააჩერეთ ამდენ ხანსო, მე ხო გითხარით სამი საათის მერე აქეთ წამოიყვანეთო. ამათ არაფერი არ უპასუხიათ. ერთმანეთში არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა, ეტყობოდათ ეს“.

გალში დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანისას, იგივე ქალი საუბრობს არასათანადო მოპყრობაზე:

„გზაში ცუდად გავხდი და ვთხოვე, გამიჩერეთ მანქანა, წყალი დამალევინეთ-მეთქი. საერთოდ ასე როგორ უნდა მოექცე ადამიანს?!.. რამდენჯერმე ვთხოვე და მანქანა არ გააჩერეს, უკვე მისულები ვართ და ჩქარა მივალთო. მივხვდი, რომ წყლულის პრობლემა იყო. მეორე დღეს გადმომიყვანეს აქეთ და მივმართე ექიმს“.

ნაბაკევის დროებითი მოთავსების საკანში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი დაკავებული საუბრობს:

„მიწის ზემოთ ერთი სართული მოჩანს მხოლოდ, მიწის ქვეშ მეორე სართულია. იქ ათავსებენ ყველას, ვისაც იჭერენ. აგროვებენ საღამომდე, მერე სვამენ მანქანის საბარგულზე და მერე მიჰყავთ პირდაპირ გალში. არის რუსების შტაბი. იქ ჩამოართმევენ ჩვენებას. მერე საკნებში ათავსებენ. იყო შემთხვევა, როდესაც 15 დღე მიუსაჯეს. იყვნენ ისეთები, რომლებიც სასამართლოს შემდეგ გამოუშვეს“.

ერთ-ერთი პირის ინფორმაციით, რომელიც გალში, დროებითი დაკავების იზოლატორში იყო მოთავსებული 3 დღის განმავლობაში, საკანში თბილოდა და სასმელი წყალიც მიეწოდებოდათ. თუმცა, უკანონო დაკავების გამო, პირი აღნიშნავს, რომ უხერხულად იყო და როგორც მონა, ისე გრძნობდა თავს.

დაკავებული პირებისგან მიღებული ინფორმაციით, იკვეთება, რომ გალში და ცხინვალში დროებითი დაკავების იზოლატორებში გადაყვანამდე, მათ რამდენიმე საათით, ზოგჯერ კი, მთელი დღის მანძილზე ათავსებენ ე. წ. დროებითი დაკავების საკნებში სხვადასხვა სოფლებში, სადაც არ არის სათანადო საცხოვრებელი პირობები.

ცხინვალში გადაყვანამდე, ერთ-ერთი დაკავებული ჯერ ჩაიყვანეს სოფელ ღრომში, სადაც მოათავსეს დროებითი დაკავების საკანში. დაკავებული საკანში მოთავსებას შემდეგნაირად აღწერს:

„ჯერ ღრომში სანამ საკანში შემიყვანდნენ, თავზე ჩაფხუტი ჩამომაფარეს, რომ არაფერი დამენახა. მიწისქვეშ არის ჩასასვლელი და იქაა საკანი. იქ გრილოდა, ფანჯრის მსგავსი ჰქონდა. იქ სამი საათი ვიყავი. წყალი ან საკვები არ მოუტანიათ. ცხინვალში რომ გადამიყვანეს, იქ მორიგე კაცურად დამელაპარაკა - ხომ არაფერი გინდაო, მაგრამ ვერც ვერაფერს შევჭამდი, ისე ვიყავი სამი-ოთხი დღე. კი მთავაზობდნენ საჭმელს, მაგრამ ერთხელ გამოვართვი პური მხოლოდ”.

ცხინვალში არსებულ პირობებთან დაკავშირებით, 2017 წელს დაკავებული მოქალაქის მეუღლე აღნიშნავს: *„ფიცრების საწოლზე იწვა. იქიდან რომ გამოვიდა, ყველაფერი სტკიოდა. სიცივეც იყო იქ. ყველაფერი კი მოჰქონდათო“.*

ერთ-ერთი პირი, რომელიც სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფელში გამყოფი ხაზის სიახლოვეს ოსებმა 2017 წელს დააკავეს, არცევის სამხედრო ბაზაში წაიყვანეს, სადაც რუსი სამხედროები არიან განლაგებული. არცევის სამხედრო ბაზაში არსებულ სიტუაციას პირი შემდეგნაირად აღწერს: *„საზიზღარი სიტუაციაა. ჩემი ღორი უფრო სუფთადაა. ისეთი ამბავი იყო, მატრასი რომ წყალში გაასველო. საკვებს დღეში ერთხელ გვაძლევდნენ. პური და 40 გრამი ხორცი იყო - შავი ხორცი“.*

არჩევის ბაზასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი სხვა პირი აღნიშნავს: *„საქონელს არ დაამწყვდევენ შიგნით, ისეთი მდგომარეობაა“.*

2012 წელს ცხინვალის იზოლატორში გატარებულ დღეებს, ერთ-ერთი დაკავებული პირი შემდეგნაირად აღწერს:

ოჯახთან კონტაქტი

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოკითხული პირებისაგან მიღებული ინფორმაციით, დაკავების შემდეგ მათ არ აძლევენ ოჯახის წევრებთან კონტაქტის უფლებას. ოჯახის წევრები, ინფორმაციას, ძირითადად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნათესავების, მეზობლების, ნაცნობების ან სხვა შუამავლების მეშვეობით იღებენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოკითხულ არც ერთ პირს არ აღუნიშნავს, რომ ოჯახის წევრების მხრიდან საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისადმი მიმართვის შედეგად მოხდა ინფორმაციის მოპოვება დაკავებასთან დაკავშირებით. თუმცა, დაკავებული პირების გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ გათავისუფლების შემდეგ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები ხვდებიან მათ და ატარებენ გამოკითხვებს დაკავებებთან დაკავშირებით.

2016 წელს დაკავებული ერთ-ერთი პირი ოჯახის წევრებთან კონტაქტთან დაკავშირებით აღნიშნავს:

> *„მოლაპარაკებული ვიყავი ჩემს შვილთან - როცა გადავალ, დავრეკავ-მეთქი. თუ არ დავურეკავდი და გათიშული მექნებოდა ტელეფონი, მაშინ ასპროცენტიანი დაჭერილი ვიქნებოდით. იცოდა ჩემმა გოგომ და როცა დამაკავეს, დაურეკა გალში მეზობლებს. ისინი დაგვხვდნენ იქ“.*

ერთ-ერთი პირის ინფორმაციით, რომელიც 2017 წელს დააკავეს, რუსმა მესაზღვრეებმა დაკავებისას ტელეფონი უცებ წაართვეს და გათიშეს. მისი ინფორმაციით, ოჯახის წევრები მიხვდნენ, რომ ის დაკავებული იყო, იქიდან გამომდინარე, რომ ტელეფონი გათიშული იყო და მასთან დაკავშირება აღარ იყო შესაძლებელი.

საქართველოს სამართალდამცავი უწყებების მოქმედებები

სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფელ კირბალში, მოსახლეობის ინფორმაციით, პატრულირებას არ აქვს ხშირი ხასიათი. მოსახლეობა აღნიშნავს, რომ ხშირი პატრულირების შემთხვევაში, რუსი მესაზღვრეების მხრიდან შესაძლოა, ადგილი არ ჰქონოდა დაკავებების მასობრივ ფაქტებს. ერთ-ერთი ადგილობრივი აღნიშნავს:

„შეიძლება კვირაში ერთი დღე ავიდნენ, მაგრამ თუ ვინმე დაიჭირეს, მაშინ პატრულირებენ ორი-სამი დღე. ეგენი რომ იქ იდგნენ, მოერიდებოდნენ რუსი მესაზღვრეები, ეგრე აღარ დაგვიჭერდნენ. ჩვენი პოლიცია როცა ამოდის, იმ დროს არ გადმოდიან".

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალში ე.წ. გამყოფი ხაზი, დე ფაქტო და რუსეთის ხელისუფლებების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, გადის სოფლის სასაფლაოზე. მიუხედავად დაკავებების საფრთხისა, სოფელ კირბალის მოსახლეობა მაინც ადის ამ სასაფლაოზე, რადგანაც მათი ოჯახის წევრები იქ არიან დასაფლავებულები. ერთ-ერთი გამოკითხული პირი, ამასთან დაკავშირებით ამბობს:

„მამაჩემის საფლავია იქ და არ უნდა მივიდე?! ჩვენებმაც რომ იმორიგეონ რა მოხდება? აღარ წაიყვანენ ამდენ ხალხს! ახლა ვინმე რომ დაიჭირონ და 20 000 მოთხოვონ, ამხელა თანხას ვერავინ ვერ გადაიხდის. იძულებული იქნება, მთავრობამ გადაუხადოს და ხომ ჯობია ისევ მესაზღვრე დააყენოს და ხელფასი გადაუხადოს. ვინ ფიქრობს ჩვენზე? არც - არავინ!"

ადგილობრივი მოსახლეობისაგან მიღებული ინფორმაციით, როცა პოლიცია პატრულირებს, რუსი და ოსი მესაზღვრეები უფრო ერიდებიან ადამიანების დაკავებას. სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ერთ-ერთ სოფელში, ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლე აღნიშნავს: *„წელს არავინ წაუყვანიათ, პოლიცია პატრულირებდა და ეშინიათ პოლიციის. 2008 წლის შემდეგ გააქტიურდნენ, მანამდე არ იყო ასეთი მდგომარეობა.*

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზების გასწვრივ მდებარე სოფლებში პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პოლიციის პოსტები, უმრავლეს შემთხვევებში, სოფლის შესასვლელში ან უფრო მოშორებითაა განლაგებული და არა გამყოფი ხაზის სიახლოვეს, იმ სოფლების ბოლოს, სადაც ხშირად ფიქსირდება უკანონო დაკავებები. ასეთ ტერიტორიებზე პოსტების განლაგება და პატრულირება მნიშვნელოვანია, რათა თავიდან იქნას აცილებული უკანონო დაკავებები.

საგამოძიებო და სასამართლო პროცესები და გათავისუფლება

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ დაკავებული ერთ-ერთი პირი ამბობს, რომ გალში, სადაც სასამართლო სხდომა გაიმართა, პროცესი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. პირის ინფორმაციით, თარჯიმანი არ მოუთხოვია, რადგანაც კარგად

იცოდა რუსული ენა. თუმცა, როგორც დაკავებული პირი აღნიშნავს, მისთვის სასამართლო პროცესზე „საერთოდ არაფერი არ უკითხავთ“.

სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დაკავებული ერთ-ერთი პირი, რომელიც ცხინვალში წაიყვანეს, ამბობს:

> *„ოთხი საათი იქნებოდა და ცალკე შტაბი სადაც აქვთ, იქ ერთმა ქალმა დამკითხა. ხელი 30 ფურცელზე მაინც მომაწერინეს, მაგრამ არ წამაკითხეს. ვკითხე - რაზე მაწერინებთ ხელს-მეთქი და ძაან კარგად იცი, რაზეც აწერ ხელსო“.*

გამოკითხული პირებისაგან მიღებული ინფორმაციით, გათავისუფლებისას და ე. წ. ჯარიმის გადახდისას იკვეთება განსხვავებული პრაქტიკა. იმ შემთხვევებში, როცა დაკავებულებს აქვთ დე ფაქტო ადმინისტრაციისათვის დამაკმაყოფილებელი საბუთები, შესაბამისი ადმინისტრაციული სასამართლო პროცესის გამართვის შემდეგ, სადაც მათ დამნაშავედ მიიჩნევენ „საზღვრის უკანონო კვეთის გამო“, მათ ათავისუფლებენ და აძლევენ ქვითარს, რის შემდეგაც უნდა მოხდეს თანხის გადახდა. თუმცა, იმ შემთხვევებში, როდესაც მათ არა აქვთ შესაბამისი საბუთები, ასევე დამნაშავედ არიან ცნობილნი დაკავებისას „წინააღმდეგობის გაწევისთვის“, თანხის გადახდა უნდა მოხდეს გათავისუფლებამდე, რაც დაკავებული პირის ოჯახის წევრების დახმარებით ხდება, გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრები ნათესავების, მეგობრების, მეზობლებისა და ნაცნობების შუამავლობით. გამოუვალ მდგომარეობაში, შესაძლოა, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე საერთოდ არ ჰყავთ დამხმარე პირი. ამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა დაკავებულმა პირმა აღნიშნა: „უნდა გამონახო ვინმე, ფული აუცილებლად უნდა გადაიხადო. ისე არ გამოგიშვებენ”.

„საზღვრის უკანონო კვეთასთან“ ერთად პირს თუკი „წინააღმდეგობის გაწევაშიც“ მიიჩნევენ დამნაშავედ, , სასჯელის ხანგრძლივობა გაცილებით მეტია და შესაძლოა, რამდენიმე წელსაც უდრიდეს, მაშინ, როდესაც მხოლოდ „საზღვრის უკანონო კვეთაში“ დამნაშავედ მიჩნეული პირების ადმინისტრაციული პატიმრობა, ძირითადად, რამდენიმე დღე გრძელდება.

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დაკავებული ერთ-ერთი პირი ამბობს:

> *„ჯერ ჭუბურხინჯში წაგვიყვანეს, მერე - გალში. გალში ვიყავით საღამოს და მეორე დილას უკვე სოხუმში გადაგვიყვანეს. იქ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეგვიფარდეს. 2 თვის მერე კიდევ 2 თვე დაგვიმატეს - გაგვიგრძელეს. მერე გალში წამოგვიყვანეს და გალის სასამართლომ მოგვისაჯა სასჯელები. მე მქონდა 2,5 წელი და 10 თვე მოვიხადე - იმათი კანონით 1 თვე 3 თვეს უდრის, რადგან მკაცრი რეჟიმის საპატიმროში ვიხდიდი სასჯელს. მესაზღვრე მადებდა ხელს - ამან ჩამარტყაო. წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით მოგვისაჯეს ამდენი წელი“.*

სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე 2018 წელს დაკავებული ერთ-ერთი პირი თანხის გადახდასთან დაკავშირებით აღნიშნავს: *„ცხინვალელმა შეიტანა. ნათესავი მყავს იქ. აქაურს არ*

შეუძლია გადახდა. მერე აქ ჩამოდის ხოლმე და გავატანე. რომ არ გადაეხადა იმას, დღესაც იქ ვიქნებოდი“.

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ერთ-ერთ სოფელში დაკავებული პირი გათავისუფლების პროცესს შემდეგნაირად აღწერს: *„გათავისუფლებისას 2 კაცი მოვიდა და გადმოგვიყვანეს აქ. დაკავებისას პირადობის მოწმობა არ გვქონდა, რაზეც აქეთ დაგვარეკინეს და გამოაგზავნინეს“.*

სხვა პრობლემები

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ განლაგებულ სოფლებში ასევე არის შემთხვევები, როდესაც საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან საქონელი გადადის გამყოფი საზღვრის მიღმა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე. საქონელი, რომელიც მოსახლეობისთვის შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს, ამის გამო ხშირად იკარგება. არის შემთხვევები, როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დახმარებით, გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა იბრუნებს საქონელს.

ერთ-ერთ სოფელში ადგილობრივმა პირმა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით აღნიშნა:

> *„უნდა გაამზადო საბუთები, გადათარგმნილი და ნოტარიულად დადასტურებული. შემდეგ იქ უნდა იშოვო ვინმე, ვინც ძროხას მოგიძებნის, მერე უნდა მიხვიდე აქაურ ადმინისტრაციაში. იმათ უნდა თხოვო, რომ მოგცენ უფლება საზღვრამდე მოგიყვანონ საქონელი. ამას ცოტა თუ ახერხებს. ერთი ძროხის გამოხსნა მინიმუმ 50 ლარი ჯდება, იმ ვიღაცასაც ხომ სჭირდება ყურადღება, ვინც მოგიძებნის ძროხას?! ეს საქონელი თავის არსებობის მანძილზე იქით დადიოდა და მიჩვეულია, ვერ გადავაჩვიეთ, მოკლედ“.*

ზოგიერთ სოფელში, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ გამყოფ ხაზთან არის გავლებული მავთულხლართები, მოსახლეობის ინფორმაციით, საქონელი მაინც პოულობს ადგილებს, საიდანაც შესაძლებელია გადასვლა გამყოფი ხაზის მიღმა. ამის შემდეგ საქონლის პატრონები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ნაცნობებს უკავშირდებიან და სთხოვენ, საქონელი უკან გადმორეკოს.

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ერთ-ერთ სოფელში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მოქალაქის საცხოვრებელი სახლი და ჭიშკარი მდებარეობს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო ეზო საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. მიღებული ინფორმაციით, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლისთვის არსებულ სახლში მცხოვრები პირი უკვე რამდენჯერმე დააკავეს. იგივე სოფელში ასევე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ხოლო ჭიშკარი და ეზო კი ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფელ ფახულანში დაფიქსირდა შემდეგი შემთხვევა: ადგილობრივი მოსახლის სახლი მდებარეობს გამყოფი ხაზის მიღმა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო ეზო - საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. ოჯახის ინფორმაციით, მათ ტერიტორიაზე რუსი მესაზღვრეები მივიდნენ და გამოაცხადეს, რომ ტერიტორიის შემოღობვას აპირებდნენ. ადგილობრივი

მოსახლის ინფორმაციით, მისი შვილები სწავლობენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ასევე მათ აქვთ კავშირები, სამუშაო და ოჯახური ურთიერთობები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. ოჯახმა რუსი მესაზღვრეებს სთხოვა, დრო მიეცათ, სანამ მავთულხლართებს გაავლებდნენ, რათა გაეკეთებინათ შესაბამისი საბუთები:

„ბიჭმა თხოვა - ცოტა დრო მომეცით, ფული არა მაქვს, ყველას საბუთი რომ გავაკეთოო. მოგვცეს დრო ახალ წლამდე. თუმცა, შეიძლება, დღეს დაიწყონ მუშაობა, შეიძლება ხვალ, გარანტირებული არ გვაქვს. იქით ყანა მაქვს, სახლის უკან. ვერ გაგიშვებთო იქითო“.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები სოფელ ფახულანში ესაუბრებიან გამყოფ ხაზზე მცხოვრებ მოსახლეს

მოსახლის ინფორმაციით, რუსი მესაზღვრეები დღის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ აძლევენ ე.წ. გამყოფ საზღვარზე გადასვლის უფლებას:

„კი, დილით რომ გახვალ, გაგიხსნის რუსი და საღამოს მოხვალ, გაგიხსნის. როცა დილით იხსნება „ტამოჟნია“, თუ არ გადმოხვედით, ჩავკეტავო. ბოქლომი მე მექნებაო. როცა მოხვალ, გაგიღებო. პატიმრობა ჯობს ამას. ბინადრობა უნდა გავაკეთოთ. სადამდე უნდა ვუყუროთ ამათ?! ბავშვი რომ ცუდად გამიხდეს, სანამ ისინი კარს გახსნიან, მანამდე როგორ გავიყვანო?! რა ვქნათ, ჩვენ გვავალებენო. ნალია დაანგრიეთო. ხეები მოიჭრება აქო. მავთულხლართები ისე უნდა გავაკეთოთ, რომ სავალი ნაწილი გვქონდესო. აქეთ ბავშვები რომ გადმომყავს სკოლაში, მალულად დამყავს. ყანით დამყავს. მავთულხლართები რომ გააკეთონ, მერე როგორ ვატარებ. სამინისტროში დავწერე განცხადება, მაგრამ არანაირი ყურადღება არ იყო. გვეუბნებიან - ბავშვებს ქართული არ ასწავლოთ,

ასწავლეთ რუსული და აფხაზური. აფხაზური მე თვითონ არ ვიცი და ბავშვს როგორ ვასწავლო?! იქით სკოლაში რომ ვატარო, ფეხით 14 კმ უნდა გავიარო. ამასთან, არ მინდა ბავშვმა იქ ისწავლოს, სადაც მის მშობლიურ ენას არ ასწავლიან.

არასრულწლოვანი პირების დაკავება

2013 წელს არასრულწლოვანი შვილის დაკავების შემთხვევაზე საუბრობს მოქალაქე აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ერთ-ერთ სოფელში:

„ჩემი შვილი 5 წლის წინ დაიჭირეს, ნათესავები გვყავს იქით და იმათ ეხმარებოდა. იქიდან თხილი მოჰქონდათ და დაიჭირეს. 20 წუთში უნდა მოსულიყო და რომ არ მოვიდა, ტელეფონზე დავრეკე. გათიშული იყო. მეუღლე ნასვამი იყო. მეთქი ბავშვია დაჭერილი. ვრეკავ და არ მპასუხობს-მეთქი. მესამე რეისს აკეთებდა. ორი გამოტანილი ჰქონდა. წავედით. ორივე ოთხზე მივხოხავდით ტალახში, გვეშინოდა, მაგრამ შვილისთვის რას არ გააკეთებ. ვნახე, ის თხილები უკან გადაჰქონდათ რუსებს - ურალით მოსულიყვნენ და ეზიდებოდნენ. ორი ბავშვი იყო დაჭერილი. თუმცა, ბავშვებს ცუდად არ ექცეოდნენ. ერთის მამა წაიყვანეს. მეუღლეს უნდოდა მისვლა და არ გავუშვი. ბავშვს იოლად გამოვიყვან-მეთქი და შენ 1000 ლარი მაინც დამიჯდები-მეთქი. დამიჯერა. მერე 200 მეტრი გამოვშორდით იქაურობას და დავუძახე შვილს - დედა, სადა ხარ-მეთქი. ვინაო - უკითხავთ, წაყვანა უნდოდათ. ზორბაა ჩემი შვილი და უთქვამთ, მეც მყავს ასეთი ბუთხუზა შვილიო. მერე უთხრეს, შენ ნუ გეშინია, გიშვებთო. ორივე გამოუშვეს. მეორეს „გულის პრანჭვები“ მოსვლია და ამიტომ გამოუშვეს. დაგვეწივნენ ბავშვები. ასეთ მდგომარეობაში ვართ. იქით ვერავინ მიდის. ყველას ეშინია. ბავშვებიც სკოლაში როცა დადიოდნენ იქიდან, დირექტორმაც იცოდა, რომ შეიძლებოდა, პირველ გაკვეთილზე ვერ მისულიყვნენ, ან არ გამოეშვათ, ან უკან დაებრუნებინათ. ახლა კი ჩემი ნათესავის ბავშვი ისე საუბრობს რუსულად და აფხაზურად, გაგიჟდები. მათ ახლა სკოლაში ასწავლიან რუსულსა და აფხაზურს. რას ვიზამთ, ცხოვრება ასეთია. 25 წელია, დევნილები ვართ. ჩემს უსინათლო დედას, ძმებს, მცირეწლოვან ბავშვებსა და რძალს ერთი ოთახი არ მისცეს, აქეთ რომ იცხოვრონ. ასე ვწვალობთ. არ აქვთ პირობები და დარჩნენ იქ. გადმოდიან წამალზე, ექიმზე, მაგრამ დედაჩემი თვეებია, არ გადმოსულა“.

ორსული ქალის დაკავება

ორსული ქალი აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ცდილობდა გადმოსვლას სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, 2015 წლის სექტემბერში. დაკავების ისტორიას იგი შემდეგნაირად აღწერს:

„დილის 5 საათზე წამოვედით. 7-8 კილომეტრი ფეხით ვიარეთ. საზღვარს რომ მივუახლოვდით, ვერ შევნიშნეთ. იქვე მდგარან და დაგვაკავეს ადგილზე. გვითხრეს, იქით არაა ჩვენი კონტროლირებადი ტერიტორია და ვერ გადაგიშვებთო. წაგვიყვანეს დროებითი მოთავსების საკანში. რაც უფრო მეტს დააკავებდნენ, მით უფრო მალე გადაჰყავდათ. ჩვენ შვიდნი ვიყავით ბავშვებიანად. არც წყალი მოგვცეს, არც საჭმელი და არაფერი. მიწისქვეშა გვირაბში ვიყავით, ცუდად გავხდი. 12 საათისთვის წაგვიყვანეს გალში. ჯარიმები იყო გადასახდელი - ქართული ფულით, ალბათ, 120 ლარი თითო ადამიანზე, თუ იქ მცხოვრები იყავი, თუ სხვა რაიონიდან - მაშინ უფრო მეტი. შეიძლება სოხუმის სასამართლომდეც მისულიყო საქმე.

ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ქალი აღწერს: *„ჰიპერტონუსი დამემართა, ორი დღე ძალიან ცუდად ვიყავი. დახუთული ჰაერი იყო, ფანჯრები კი არა. 4 მეტრი ჰქონდა სიგრძე, ჭრუჭუტანაში შემოდიოდა სინათლე. არც ლეიბი იყო. იატაკი კი ნორმალური იყო. არც საბანი მოუციათ და არაფერი“.*

შეფასებები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. საფუძვლიანი ეჭვი როცა არსებობს, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა, ამ შემთხვევაში, მისი კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უნდა მოხდეს უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად. ასევე, პირის დაპატიმრება უნდა ექვემდებარებოდეს უფლებამოსილი სასამართლოს გადაწყვეტილებას. საქმეში „ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ სასამართლო ჩაითვალოს უფლებამოსილ ორგანოდ, ის რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს, მათ შორის, არის დამოუკიდებლობა, ამავე დროს - აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე, ასევე - მიუკერძოებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, შესაძლოა, არსებობდეს შემთხვევები, როცა სასამართლო მოქმედებს სისტემაში ისეთ ორგანიზაციაში/ტერიტორიაზე (entity), რომელიც არ არის აღიარებული საერთაშორისო სამართლით, მაგრამ, მაინც ჩაითვალოს უფლებამოსილ სასამართლო ორგანოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ის ფუნქციონირებს კონვენციის შესაბამისი კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლების თანახმად[21]. აღნიშნულ საქმეში, სასამართლოს შეფასებით, მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლო რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება ილაშკუს და სხვების წინააღმდეგ, ჩამოყალიბდა ისეთ ორგანიზაციაში/ტერიტორიაზე (entity), რომელიც არ არის კანონიერი საერთაშორისო სამართლის თანახმად და არ არის აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული „სასამართლო“ ეკუთვნის სისტემას, რომელიც არ ფუნქციონირებს ისეთი კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად, რომელიც ასახავს კონვენციის სასამართლო ტრადიციას[22]. შესაბამისად,

[21] პარაგრაფი 460, ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ;
[22] პარაგრაფი 436, ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ;

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოლდოვის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო არ წარმოადგენს კონვენციის გათვალისწინებულ „უფლებამოსილ სასამართლოს“ და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მომჩივნების დაკავება არ ჩაითვლება „კანონიერ დაკავებად“[23].

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებში არსებული მდგომარეობა ზემოაღნიშნული შემთხვევის მსგავსია. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკები არ არის აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს გაეროს წევრი მხოლოდ 5 სახელმწიფო აღიარებს - რუსეთი, სირია, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ. გაეროს წევრი ქვეყნების უმრავლესობა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკებს არ აღიარებს და მათ მიიჩნევს საქართველოს ნაწილად. მათ, ასევე, არ აღიარებს საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციები, როგორიც არის: გაერო[24], ნატო[25], ევროკავშირი[26] და ევროსაბჭო[27]. ისინი თავიანთ რეზოლუციებში დე ფაქტო რესპუბლიკებს მოიხსენიებენ როგორც საქართველოს ნაწილს და აცხადებენ, რომ აღნიშნული ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ინიციატივით, აფხაზეთში არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასების მიზნით, თომას ჰამარბერგისა[28] და მაგდალენა გრონოს[29] მიერ მომზადებული ანგარიში მოიცავს ანალიზს აფხაზეთის დე ფაქტო სასამართლო და სამართალდამცავ სტრუქტურებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული შეფასებით იკვეთება, რომ აფხაზეთის დე ფაქტო სასამართლო ხელისუფლებაში არსებობს კორუფციის მნიშვნელოვანი პრობლემა[30]. ანგარიშის თანახმად, ბევრი დაინტერესებული მხარის გამოკითხვის შედეგად იკვეთება, რომ დე ფაქტო სასამართლო ხელისუფლება აფხაზეთში არის არსებული სოციალური გარემოს წნეხის ქვეშ, სადაც დომინირებენ ეთნიკური აფხაზები და ისეთი სოციალური სტრუქტურა, სადაც გაფართოებული ოჯახები მოქმედებენ ღრმა ერთგულების ნიადაგზე. მსგავსი მდგომარეობაა, ასევე, აფხაზეთის დე ფაქტო პროკურატურისა და სამართალდამცავ უწყებებში, რაც პრობლემას წარმოადგენს ინდივიდუალური უფლებების რეალიზაციისათვის და ასევე საფრთხეს უქმნის აღნიშნული დე ფაქტო უწყებების პასუხისმგებლობას[31].

---

[23] პარაგრაფი 462, ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ;

[24] „გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუცია“: http://agenda.ge/en/news/2018/1271

[25] „მოკავშირეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ თავიანთ მხარდაჭერას საქართველოს მიმართ ნატო-საქართველოს კომისიაში“: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_157877.htm

[26] „ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორების შესახებ რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრიდან 10 წლის შემდეგ“: http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=MOTION&reference=P8-RC-2018-0275&language=EN

[27] „ევროსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველო-რუსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით“: http://coe.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=400&lang=2&NewsID=131824

[28] თომას ჰამარგერგი, უფროსი ექსპერტი, რომელსაც მიენიჭა უფლებამოსილება აღნიშნული შეფასების ჩასატარებლად, იგი ადრე იყო ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი ადამიანის უფლებების მიმართულებით.

[29] მაგდალენა გრონო, საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის ექსპერტი, ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრამის დირექტორი.

[30] თომას ჰამარბერგი და მაგდალენა გრონო, „ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს“გვ. 21-22:

[31] *იგივე*

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ანგარიშის თანახმად, დე ფაქტო ქვეყნებში, მათ შორის - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული სასამართლოები, ძირითადად, ექცევიან აღმასრულებელი ხელისუფლების ზეგავლენის ქვეშ. ორგანიზაციის შეფასებით, კანონის უზენაესობის ნაკლებობა და ყოვლისმომცველი კორუფცია იწვევს კანონების ფართო აღუსრულებლობას, რაც დაუსჯელობის კლიმატის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ორგანიზაციის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ რელევანტური კანონები არსებობს დე ფაქტო ქვეყნებში, მათ განხორციელებას ხელს უშლის გამჭვირვალე და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არარსებობა. შესაბამისად, ადამიანის უფლებების დარღვევების მსხვერპლ პირებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა ეფექტიან მექანიზმებზე და დამნაშავეების მიმართ მოქმედებს დაუსჯელობის სინდრომი[32]. მართალია, დე ფაქტო ქვეყნებში არსებობს ომბუდსმენის აპარატები, მაგრამ აღნიშნული აპარატები ვერ ახდენს სასამართლოს სისტემის სისუსტის კომპენსირებას[33].

აღნიშნული შეფასებები წარმოაჩენს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო სასამართლოები არ აკმაყოფილებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ კონსტიტუციურ და სამართლებრივ საფუძვლებს, რადგანაც ისინი არ არიან დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები. შესაბამისად, აღნიშნული სასამართლოები ვერ ჩაითვლებიან ევროკონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილ სასამართლოებად, პირთა დაკავებისა თუ დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.

დე ფაქტო და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე ადამიანთა დაკავების პრაქტიკა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განმტკიცებულ პრინციპებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, როდესაც ადგილი აქვს თავისუფლების აღკვეთას, დაკმაყოფილებული უნდა იყოს სამართლებრივი სიცხადის პრინციპი. აუცილებელია, რომ დაკავების საფუძვლები იყოს ნათლად განსაზღვრული და კანონი იყოს განჭვრეტადი, რაც შესაძლებლობას მისცემს პირს, განჭვრიტოს, თუ რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოიტანოს მისმა კონკრეტულმა მოქმედებებმა *(ხლაიფია და სხვები იტალიის წინააღმდეგ, დელ რიო პრადა ესპანეთის წინააღმდეგ, კრეანგრა რუმინეთის წინააღმდეგ).* ასევე, დაუშვებელია, თავისუფლების ხელყოფა იყოს შემთხვევითი, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ადგილი არ უნდა ჰქონდეს არაკეთილსინდისიერებას ან შეცდომაში შეყვანას[34].

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გამყოფ ხაზებზე ადამიანების დაკავება ატარებს შემთხვევით ხასიათს და არ აკმაყოფილებს სამართლებრივი სიცხადისა და განჭვრეტადობის პრინციპებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ შესწავლილი საქმეები აჩვენებს, რომ გამყოფ ხაზებზე ადამიანებს ხშირად აკავებენ საქართველოს კონტროლირებად

---

[32] გვ. 26, „ადამიანის უფლებათა დაცვის შეფასება აღმოსავლეთ ევროპის სადაო და კონფლიქტურ ტერიტორიებზე“:
https://www.fidh.org/IMG/pdf/rapport_disputed_entities_uk-ld3.pdf

[33] გვ. 23, „ადამიანის უფლებათა დაცვის შეფასება აღმოსავლეთ ევროპის სადაო და კონფლიქტურ ტერიტორიებზე“:
https://www.fidh.org/IMG/pdf/rapport_disputed_entities_uk-ld3.pdf

[34] პარაგრაფები 32 და 39; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი - სახელმძღვანელო.
https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_5_ENG.pdf

ტერიტორიაზე გადმოსვლით, დე ფაქტო და რუსეთის ხელისუფლებების მიერ გავლებული ე.წ. სასაზღვრე ნიშნების მიღმა, ასევე - ისეთ ტერიტორიაზე, სადაც არ არის აღმართული გამყოფი ხაზის აღმნიშვნელი რაიმე ნიშანი და სადაც დაკავება ადამიანებისათვის სრულიად მოულოდნელია. შედეგად, ადამიანებისათვის სრულიად განუჭვრეტადია, თუ რა ფაქტორები და საფუძვლები განაპირობებენ მათ დაკავებას. ისინი ხშირად მიუთითებენ, რომ რთულია განსაზღვრო, თუ რა ტერიტორია შეიძლება წარმოადგენდეს უკანონო დაკავებისათვის სახიფათო ტერიტორიას.

გადაადგილების თავისუფლება და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საკითხები

გადაადგილების პრობლემები განსაკუთრებულ დაბრკოლებებს უქმნის გალის რაიონში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას. გალის რაიონი ოკუპირებული აფხაზეთის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და წარმოადგენს ერთადერთ ტერიტორიას, სადაც ეთნიკური ქართველები დაბრუნდნენ 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის შემდეგ. გალის რაიონზე ამჟამად კონტროლს აფხაზეთის დე ფაქტო და რუსეთის ხელისუფლებები ახორციელებენ. ომის შემდგომ გალის რაიონში დაახლოებით 45000-55000 ქართველი დაბრუნდა[35].

გალის მოსახლეობის მიმოსვლის თავისუფლებას აბრკოლებს დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები. ბოლო წლებში, გალის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად ხუთი სახის საბუთს იყენებდა - საბჭოთადროინდელ პასპორტს, ე.წ. აფხაზურ პასპორტს, ფორმა N9-ს, ცხოვრების ნებართვას და ე.წ. ვიზას. საბჭოთადროინდელ პასპორტს მოქმედების ვადა გაუვიდა, შესაბამისად, გამყოფ ხაზზე გადაადგილების მიზნით მისი გამოყენება შესაძლებელი აღარ არის. 2008 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, დაახლოებით 22 000 ე. წ. აფხაზური პასპორტი გაიცა ეთნიკურ ქართველებზე გალში, ოჩამჩირესა და ტყვარჩელში. ასეთი სახის „პასპორტების“ მისაღებად აუცილებელი პირობა იყო საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა[36]. ამ მიზეზის გამო ბევრმა ქართველმა უარი განაცხადა ამ პასპორტების აღებაზე. ე. წ. აფხაზურ პასპორტებს ქართველებისათვის 2019 წლის იანვარში მოქმედების ვადა ამოეწურა. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ვადა მხოლოდ პენსიონერებისათვის გააგრძელა[37].

ე.წ. ფორმა N9 იყო ადმინისტრაციული ფორმა, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირში დაკარგული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩასანაცვლებლად. როდესაც საბჭოთა პასპორტებს ვადა გაუვიდა, ფორმა N9 გალის მოსახლეობის მიერ გამოიყენებოდა, როგორც ჩამანაცვლებელი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი. იგი გამიზნული იყო როგორც დროებითი გამოსავალი, მაგრამ მისი გამოყენება გალის მოსახლეობის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაგრძელდა[38]. 2017 წლის მდგომარეობით, აღნიშნული დოკუმენტი გაცემული იყო დაახლოებით 12 000 პირზე[39]. ფორმა N9 სხვადასხვა ვადით გაიცემოდა და შესაბამისი თანხა ჯდებოდა. ვადები ერთი

---

[35] თომას ჰამარბერგი და მაგდალენა გრონო, „ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს“, 2017.

[36] თომას ჰამარბერგი და მაგდალენა გრონო, „ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს“, 2017.

[37] რადიო „თავისუფლება“: „რას ითხოვენ ოკუპირებულ აფხაზეთში დარჩენილი ქართველებისგან აფხაზური პასპორტის სანაცვლოდ“

[38] თომას ჰამარბერგი და მაგდალენა გრონო, „ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს“, 2017.

[39] „გადასასვლელების გაუქმების გავლენა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე“.

კვირიდან იწყებოდა და 6 თვემდე გრძელდებოდა. ყოველი თვის ღირებულება კი დაახლოებით 1000 რუსული რუბლია (დაახლოებით 45 ლარი)[40]. 2017 წლის დასაწყისში, „უცხოეთის მოქალაქეების შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შემდეგ, ფორმა N9-ის გაცემა შეწყდა და იგი ჩაანაცვლა ბინადრობის ნებართვამ[41]. ბინადრობის მოწმობები მფლობელს მხოლოდ გამყოფ ხაზზე გადაადგილების უფლებას ანიჭებს და არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან უფლებებს, როგორიც არის, მაგალითად, საკუთრების უფლება. ამის გამო, გალის მოსახლეობის ნაწილი ბინადრობის მოწმობებს უნდობლად ეკიდება[42]. ბინადრობის მოწმობა 5 წლის ვადით გაიცემა.

აფხაზეთის გამყოფ ხაზზე გადასვლის კიდევ ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს ვიზა, რომლით სარგებლობისათვის საჭიროა საზღვარგარეთის პასპორტის არსებობა და შესაბამისი თანხის გადახდა. ვიზა 10, 20 და 30-დღიანი ვადებით გაიცემა[43].

ადამიანის უფლებათა ცენტრი შეხვდა მოქალაქეებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რომლებსაც ხშირად უწევდათ გადასვლა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოჯახის წევრების მოსანახულებლად. ამ მოქალაქეებს პრობლემა აქვთ დოკუმენტაციის აღებასთან დაკავშირებით, რაც ხელს უშლის მათ მოინახულონ ოჯახის წევრები გამყოფი ხაზის მეორე მხარეს. არის შემთხვევები, როდესაც მეორე მხარეს დარჩენილია მოხუცებული მშობლები, რომლებიც არ ტოვებენ საკუთარ საცხოვრებელ სახლს. მათ სჭირდებათ მხარდაჭერა, მაგრამ შვილები ვერ ახერხებენ მათ მონახულებას გადაადგილებისა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოკითხული ერთ-ერთი პირი აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ამბობს:

„ხშირად მიწევდა წასვლა, მაგრამ ამ ბოლო დროს, ამ წითელი პასპორტის გაუქმების გამო, ვერ ჩავდივარ. წითელ პასპორტს სსრკ აწერია, საბჭოთა კავშირის დროს არის გაკეთებული. 72 წელში ვარ დაბადებული და 89 წელს სკოლა რომ დავამთავრე, იმის შემდეგ წითელი პასპორტი მქონდა შენახული და გამომადგა. ამ პირადობით შესაძლებელი იყო საზღვრის გადმოკვეთა. ჩვეულებრივად გადავდიოდით, კომპიუტერებში ატარებდნენ, პირად ნომერს ინიშნავდნენ და ამით თავისუფლად შეგვეძლო მერე გადასვლა და არანაირი პრობლემა არ გვქონდა სხვა. მაგრამ, ამ ბოლო პერიოდში აფხაზებმა უარი თქვეს, რატომღაც. ჩვენებს არანაირი წინააღმდეგობა არ აქვთ. უბრალოდ, აფხაზურმა მხარემ თქვა უარი. ახლა აფხაზური საბუთებია - მწვანე და ლურჯი პირადობის მოწმობები. მწვანე პირადობები ძველი გაკეთებულია. ახლა არის ლურჯი პირადობები, რომელიც ადასტურებს იმას, რომ პირი აფხაზეთის მოქალაქეა. თუმცა, მე არ მაქვს სურვილი, რომ ავიღო ეს პირადობა. როცა ამ

[40] ინფორმაცია: “სოხუმის რეჟიმის საბუთები, რომლებიც გალელებს ცხოვრების გარდა სხვა არავითარ უფლებას არ უტოვებს“

[41] თომას ჰამარბერგი და მაგდალენა გრონო, „ადამიანის უფლებები აფხაზეთში დღეს“, 2017. https://www.palmecenter.se/wp-content/uploads/2017/07/Human-Rights-in-Abkhazia-Today-report-by-Thomas-Hammarberg-and-Magdalena-Grono.pdf

[42] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - „გადასასვლელების გაუქმების გავლენა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე“.

[43] Democracy & Freedom Watch: “სოხუმის რეჟიმის საბუთები, რომლებიც გალელებს ცხოვრების გარდა სხვა არავითარ უფლებას არ უტოვებს“

პირადობას იღებ, მაშინ უნდა მიუთითო, რომ უარს ამბობ ქართველობაზე და საქართველოს მოქალაქეობაზე. აი, ამიტომ არ გამაჩნია ამ პირადობის აღების სურვილი. თუ ვთქვი, რომ მე ქართველი არა ვარ, ამით ყველაფერს დავკარგავ. მე ჩემი შვილებიც იმიტომ გადმოვიყვანე 2010 წელს, რომ იქ უკვე ვხედავდი, ქართულ ენას ბარიერი რომ ექმნებოდა. ამიტომ დავტოვე ოჯახი და წამოვედი აქეთ. მშობელი დამრჩა იქით. გვინდოდა სახლის გაყიდვა, მაგრამ ამის უფლება ჩვენ ახლა არ გვაქვს, იმიტომ, რომ ნახევარი თანხა უნდა მივცეთ აფხაზებს, რადგან მის ტერიტორიაზე ვცხოვრობთ. ასეთი კანონია - თუ გაყიდი შენს საკუთარ სახლ-კარს, ნახევარი უნდა მივცეთ იმათ, რადგან მათ ტერიტორიაზე ვცხოვრობთ. ადგილობრივი გამგეობა არსებობს, გამგებელი არის რუსი. სახელი და გვარი არ მახსოვს მისი. ნახევარი თანხა მიაქვს მას. ეს ოფიციალურად არ ხდება. არაოფიციალურად აკეთებენ, მაგრამ სხვაგვარად ნებას არ გრთავენ, რომ შენი ქონების მთლიანი წილი შენ წამოიღო. მამასთან სტუმრად რომ წავიდე, ძალიან დიდი ფული უნდა გადავიხადო, რომ ვიზა გავაკეთო. გინდა თუ არა, ერთთვიანი ვიზა უნდა გააკეთო, რაშიც ძალიან დიდ თანხას ითხოვენ - 500-600 ლარს. მაგრამ, მეორე დღეს რომ გადახვიდე, ან 1 საათის მერე გადახვიდე, ის გიუქმდება.

აფხაზეთის გამყოფ ხაზზე გადაადგილებასა და დოკუმენტაციის პრობლემასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა პირმა აღნიშნა: *„თუ საბუთები არ გაქვს წესრიგში, ვერ გადაგატარებენ. ყოფილა შემთხვევა, შარშან, მიცვალებული მალვით გადაასვენეს. 10-15 ბიჭი ერთმანეთს დაეხმარა. მაშინ იყო ერთი შემოვლითი გზა და ღამის სამ საათზე მალულად წაასვენეს მიცვალებული, იმიტომ, რომ გარდაცვლილის დედა მოხუცი იყო და აქეთ ვერ გადმოდიოდა და ითხოვდა, გარდაცვლილი შვილი მაჩვენეთო. აი, ასეთ პირობებში ვართ“.*

სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ერთ-ერთი პირი, რომელსაც გამყოფი ხაზის მიღმა ოჯახის წევრები ჰყავს, გადაადგილების პრობლემასთან დაკავშირებით აღნიშნავს:

„იმ რაიონიდან ვინცაა, კი შეუძლიათ გადმოსვლა, მაგრამ მე რომ იქაური არ ვარ, ვერ შევალ, საბუთს არ მომცემენ. გასვენება როცა არის, შარშანწინ ჩემი ახლობელი დაიღუპა, ახალგაზრდა ბიჭი, მაშინ დიდუბეში რაღაც საბუთი გავაკეთე და მოწვევით შეგვიშვეს. იცოდნენ, ქართველებმაც იცოდნენ და - რუსებმაც. მაშინ შევედით და გადმოვედით. დაახლოებით სამი წლის წინ“.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები 2019 წლის იანვარში იმყოფებოდნენ ენგურის ხიდზე, რომელზეც მიმოსვლა ცალმხრივად დაიკეტა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ, რის მიზეზადაც დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოში H1N1 ვირუსის გავრცელებას ასახელებდნენ[44]. ამ პერიოდში ენგურის ხიდზე დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ოკუპირებული ტერიტორიიდან მხოლოდ იმ ადამიანებს ატარებდნენ, რომლებსაც სპეციალური სამედიცინო ცნობა (ე.წ. „სპრავკა“) ჰქონდათ და ჯანმრთელობის პრობლემების

[44] Democracy & Freedom Watch: „სოხუმის რეჟიმი კარანტინს აცხადებს და ენგურის ხიდს კეტავს“

სამკურნალოდ გადმოდიოდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. მდინარე ენგურზე მდებარე ე.წ. სასაზღვრო გამშვები პუნქტი 2019 წლის 10 იანვრიდან 5 თებერვლამდე იყო ჩაკეტილი[45].

ენგურის ხიდზე გამოკითხულმა ქალბატონმა დაადასტურა ქართველებისათვის აფხაზური პასპორტების გაუქმების ფაქტი:

> *„მწვანე პასპორტები უნდა წაგვართვან და უნდა გავაკეთოთ, გვინდა არ გვინდა, ბინადრობის ცნობა. მაგრამ, ეს ნიშნავს, რომ შენ იქ არაფერს არ ნიშნავ. ანუ, არ ხარ მოქალაქე. არაფრის უფლება არ გაქვს. მე მაქვს მწვანე პასპორტი, მაგრამ არსად აღარ მოქმედებს. ეხლა ბავშვი გამიხდა ავად და ავიღე „სპრავკა“ და აქეთ წამოვედი წამლებზე“.*

შეფასებები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით

გადაადგილების თავისუფლება განმტკიცებულია არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით, მათ შორის - სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიაზე მიმოსვლის თავისუფლება. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის ინტერესებისათვის ან/და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთს გამყოფ ხაზებზე გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, მათ შორის, გამშვები პუნქტების დაკეტვისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის მიღების გართულების გზით, ვერ აიხსნება ვერცერთი აღნიშნული საფუძვლით. შესაბამისად, აღნიშნული შეზღუდვა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრინციპებს.

განათლების ხელმისაწვდომობა

ოკუპირებულ გალის რაიონში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. 1995 წლიდან აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების ქართულენოვანი სკოლების რუსულ ენაზე გადასვლის პროცესი ეტაპობრივად განახორციელა, რის შედეგადაც ქართველ ბავშვებს შეეზღუდათ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება.

2005 წლიდან დღემდე გალის „ზედა ზონის“ ყველა კლასში რუსულ ენაზე გადავიდა სწავლება. რაც შეეხება გალის რაიონის „ქვედა ზონის“ სოფლებს, 2015-2016 სასწავლო

[45] ინფორმაცია - *„ენგურის ხიდზე მიმოსვლა განახლდა“:* https://1tv.ge/news/enguris-khidze-mimosvla-ganakhlda/

წლიდან შემოღებულ იქნა რუსულ ენაზე სწავლება პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით და ყოველი მომავალი პირველი კლასი ასევე რუსულ ენაზე იწყებს სწავლას[46].

ქართულ ენაზე სწავლება აკრძალულია ასევე სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ახალგორის რაიონში. ახალგორის რაიონის სკოლებსა და ბაგა-ბაღებში სწავლება მხოლოდ რუსულ და ოსურ ენებზე მიმდინარეობს[47].

2016 წელს აფხაზეთისა და საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დამაკავშირებელი გამშვები პუნქტების გაუქმების შემდეგ, აღნიშნული უფლება კიდევ უფრო შეიზღუდა, რადგანაც ქართველი ბავშვები გამშვები პუნქტების გავლით გადმოდიოდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, მეზობელ სოფლებში და სწავლობდნენ ქართულენოვან სკოლებში. გამშვები პუნქტების გაუქმებამ შეაფერხა მოსწავლეთა გადაადგილება. თუ 2016-2017 წლებში ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ ოტობაიადან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში 17 მოსწავლე გადადიოდა, 2017-2018 წლებში, არცერთი მოსწავლის გადმოსვლის ფაქტი არ ფიქსირდება ოფიციალური მონაცემებით[48].

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები, პროექტის ფარგლებში, შეხვდნენ ოჯახებს, რომლებიც ოკუპირებული გალის რაიონიდან სწორედ ქართული ენის სწავლების შეწყვეტის გამო გადმოვიდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რადგანაც მათთვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო მათ შვილებს მშობლიურ ენაზე მიეღოთ განათლება.

განათლების საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა გამოკითხულმა პირმა აღნიშნა:

> *„ახლა საერთოდ შემწყდარია ქართულის სწავლება. ახლა ვინც პირველ კლასში წავიდა, იმ ბავშვებს ძალიან გაუჭირდათ ენის ათვისება, მაგრამ ისინი კატეგორიულად ითხოვენ მშობლისგან, რომ ბავშვებს არ დაელაპარაკონ ქართულად. ძალიან ძნელია ეს გააკეთოს იქაურმა მაცხოვრებელმა, როცა მას რუსული განათლება არ მიუღია. დაახლოებით ჩემი ასაკის ადამიანებმა იციან რუსული, მაგრამ უფრო ახალგაზრდებმა რუსული არ იციან და ამიტომ ვერ ასწავლიან ბავშვებს. აფხაზური ენა არის ძალიან რთული ენა“.*

ერთ-ერთი გამოკითხული პირი ოკუპირებული გალის რაიონის ერთ-ერთ სოფელთან დაკავშირებით ამბობს:

> *„იქ იყო ქართული ბაღი. 20 წელი ბაღის დირექტორი ამ ბაღს მფარველობდა, რომ ბავშვებს ქართული არ დავიწყებოდათ. ეს პედაგოგი მოხსნეს. მიზეზი ის იყო, რომ ის არის ქართველი და ბავშვებს უნდა ესწავლათ რუსულად ან აფხაზურად. ეს არის მარტო მიზეზი. გათავისუფლებაზე უწერია, რომ მშვენივრად იმუშავა ამ წლების განმავლობაში, მაგრამ ჩვენ ვიწყებთ რუსულად და აფხაზურად სწავლებას. აი, მხოლოდ ამიტომ გაათავისუფლეს“.*

---

[46] გვ. 4, „განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები“.

[47] რადიო „თავისუფლება“ - „ახალგორის რაიონში ქართულ ენაზე სწავლება უქმდება“: https://www.radiotavisupleba.ge/a/kartuli-enis-sakitkhi-akhalgorshi/28671045.html

[48] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017 წელი.

შეფასებები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით

ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის თანახმად, ბავშვთა უფლება განათლებაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანაბარი შესაძლებლობების პირობებში. კონვენციით განმტკიცებული უფლებები, მათ შორის - განათლების უფლება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის, ბავშვის ან მისი მშობლის ეროვნული, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილების მიუხედავად. კონვენციის თანახმად, განათლების უფლება უნდა მოიცავდეს ბავშვის კულტურული იდენტობის, ენისა და ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემას[49].

გალში ქართულ ენაზე განათლების შეზღუდვა ეწინააღმდეგება ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განმტკიცებულ სტანდარტებს. ამ მხრივ, საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ.* აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ დაადგინა თურქეთის მიერ განათლების უფლების დარღვევა ბერძენი კვიპროსელების მიმართ. ჩრდილოეთ კვიპროსში მცხოვრებ ბერძენ კვიპროსელებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, თავიანთ ენაზე მიეღოთ საშუალო სასკოლო განათლება, რადგანაც ჩრდილოეთ კვიპროსის დე ფაქტო ხელისუფლებამ გააუქმა ბერძნული საშუალო სკოლები. გადაწყვეტილების თანახმად:

„ჩრდილოეთ კვიპროსში მცხოვრები ბერძენი კვიპროსელების ლეგიტიმური სურვილი, მათ შვილებს განათლება მიეღოთ თავიანთი კულტურული და ეთნიკური ტრადიციების შესაბამისად, განსაკუთრებით კი, ბერძნულ ენაზე, უგულვებელყოფილი იქნა. ჩრდილოეთ კვიპროსში ბერძნულ ენაზე საშუალო სკოლების სრული არარსებობა ვერ იქნებოდა კომპენსირებული იმით, რომ მოსწავლეები სასწავლებლად წასულიყვნენ სამხრეთ კვიპროსში, რადგანაც ამ შეთხვევაში, უკან დაბრუნება დაკავშირებული იყო შეზღუდვებთან[50]".

აღნიშნული შემთხვევა გალში არსებული შემთხვევის მსგავსია, სადაც სრულიად აიკრძალა ქართულ ენაზე საშუალო სკოლებში განათლების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული პრობლემის კომპენსირება სხვა გზით არ არის შესაძლებელია, რადგანაც ბავშვების საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა გართულებულია შექმნილი შეზღუდვების, მათ შორის, გამშვები პუნქტების ჩაკეტვისა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ხელოვნური პრობლემების გამო.

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ ბერშუეთში მძიმე პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლის არარსებობა. ადგილობრივი მოსახლეობა სუფთა წყალს მეზობელი სოფლიდან ეზიდება. საარსებო წყაროების ნაკლებობა ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ოკუპაციის შედეგად, მოსახლეობამ დაკარგა სასოფლო-სამეურნეო მიწა და საძოვრები, რაც მათი შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო. საარსებო წყაროებისა და სამუშაო ადგილების ნაკლებობის გამო, ახალგაზრდობა ტოვებს სოფელს. სოფელში, ასევე, დიდი პრობლემაა გაუმართავი ინფრასტრუქტურა

---

[49] მუხლი 2, 28, 29; ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია. https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx

[50] პარაგრაფი 275, *„კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ";*

და გზები. უვარგისი სასმელი წყალი, ასევე, სერიოზული პრობლემაა სოფელ კირბალში. ამ სოფელში ასევე არ არის საბავშვო ბაღი.

ბერშუეთსა და კირბალში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას. გორის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ივნისში გამოგზავნილი ოფიციალური წერილის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა და გაეგზავნა წერილი საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებით კომისიას, გორის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზისა და მიმდებარე სოფლებში დამატებითი ჭაბურღილებისა და ქსელის მოსაწყობად შესაბამის სამსახურებთან შუამდგომლობის შესახებ, სადაც გათვალისწინებულია სოფელი კირბალიც. რაც შეეხება სოფელ კირბალში საბავშვო ბაღი არარსებობას, რის გამოც ბავშვებს სიარული უწევთ სოფელ ზერტის საბავშვო ბაღში, გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოწოდებული პასუხის თანახმად, რადგანაც სოფელ ზერტის საბავშვო ბაღის შენობა არ შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიმდინარეობს ალტერნატიული ფართის მოძიება საბავშვო ბაღის განსათავსებლად, რითაც შესაძლებელი იქნება ისარგებლონ სოფელ კირბალის მოსახლეობამაც. გარდა ამისა, მერის ინფორმაციით, მერიას სამომავლოდ სოფელ კირბალში დაგეგმილი აქვს, ასევე, საბავშვო ბაღის მშენებლობა.

2018 წლის ივლისში, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა მოინახულეს სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელი ზარდიაანთკარი. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლების დაკვირვებით, სოფელ ზარდიაანთკარში ჯერ კიდევ არ არის რეაბილიტირებული 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზიანებული საცხოვრებელი სახლები, დაზიანებულია სახლების სახურავები და კარ-ფანჯრები. მოსახლეობის ინფორმაციით, ისინი წლების განმავლობაში ითხოვენ დახმარებას და დაზიანებული სახლების აღდგენას, მაგრამ - უშედეგოდ.

ზარდიაანთკარში არსებულ კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს სარწყავი წყლის არარსებობა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. კერძოდ, სარწყავი არხები ვერ აღწევს მოსახლეობის ნაწილის სასოფლო-სამეურნეო მიწებამდე, შედეგად, მოსახლეობა ვერ ამუშავებს მიწებს, რაც მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა. ამავე სოფელში ასევე სერიოზული პრობლემაა სასმელი წყლის არარსებობა, რის გამოც, მოსახლეობას უწევს სოფლის ბოლოდან სასმელი წყლის ზიდვა. სოფელ ზარდიაანთკარში ასევე დიდი პრობლემაა ამბულატორული სერვისებისა და აფთიაქის არარსებობა.

ზარდიაანთკარის მსგავსად, მოუწესრიგებელი სარწყავი არხები პრობლემას წარმოადგენს მეზობელ სოფელ გუგუთიანთკარშიც. მოსახლეობა უჩივის, ასევე, სასმელი წყლის უხარისხობას.

აღნიშნულ სოფლებში განხორციელებული ვიზიტების ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები შეხვდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, რომელთა წინაშეც ისაუბრეს სოფლებში დაფიქსირებული პრობლემების შესახებ. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისაგან მოწოდებული ინფორმაციით, მიმდინარეობს მუშაობა სასმელ და სარწყავ წყლებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის კუთხით.

სასმელი წყლის უვარგისობა და სარწყავი წყლის არარსებობა პრობლემას წარმოადგენს ასევე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ დვანშიც. სარწყავი წყლის არარსებობის გამო, ადგილობრივმა მოსახლეებმა დაკარგეს მოსავალი, რაც მათი შემოსავლის მთავარი წყარო იყო. სოფელს, ასევე, არა აქვს ამბულატორული მომსახურება, რის გამოც ადგილობრივები მოკლებულნი არიან სათანადო სამედიცინო

დახმარების მიღების შესაძლებლობას. სასმელი წყლის უვარგისობა და სარწყავი წყლის არარსებობა ასევე პრობლემას წარმოადგენს სოფელ კნოლევში. შექმნილი პრობლემებს გამო, სოფელი ადგილობრივი მოსახლეობისაგან იცლება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ორივე სოფელი - დვანი და კნოლევი აკმაყოფილებს მაღალმთიანი სოფლის სტატუსს, რაც გულისხმობს სხვადასხვა სოციალურ და საგადასახადო ბენეფიტებს. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის ვიზიტის დროს არცერთ აღნიშნულ სოფელს არ ჰქონდა მაღალმთიანი სოფლის სტატუსი. ადამიანის უფლებათა ცენტრმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართა გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას. გუბერნატორის ადმინისტრაციისაგან მიღებული პასუხის თანახმად, მოქმედმა სახელმწიფო რწმუნებულმა მიმართა მთის განვითარების ეროვნულ საბჭოს აღნიშნული სოფლების მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანის მოთხოვნით.

პასუხისმგებლობის საკითხი

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე დე ფაქტო და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას, რადგანაც იგი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ახორციელებს ეფექტურ კონტროლს. საქმეზე *ლუიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ,* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება მისი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს მიღმაც იმ ტერიტორიაზე, რომელზეც იგი ახორციელებს ეფექტურ კონტროლს. ეფექტური კონტროლის განხორციელება შესაძლებელია სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ აღნიშნულ ტერიტორიაზე პირდაპირი განთავსების გზით, ასევე - ადგილობრივი ადმინისტრაციის დაქვემდებარების გზით[51].

საქმეში *ალ. სკეინი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ,* ეფექტური კონტროლის საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა: *„როდესაც დგინდება მსგავსი სახის დომინაციის არსებობა კონკრეტულ ტერიტორიაზე, არ არის საჭირო იმის განსაზღვრა, ახორციელებს თუ არა ხელმომწერი სახელმწიფო დეტალურ კონტროლს დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის პოლიტიკასა და მოქმედებებზე. ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია არსებობს ხელმომწერი სახელმწიფოს სამხედრო თუ სხვა სახის დახმარების შედეგად, წარმოქმნის ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ადგილობრივი ადმინისტრაციის პოლიტიკისა და მოქმედებების გამო. მაკონტროლებელ სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა, კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, უზრუნველყოს მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, კონვენციით დაცული ყველა უფლება და ასევე იმ დამატებითი ოქმებით განსაზღვრული უფლებები, რომლებიც რატიფიცირებული აქვს. ის იქნება პასუხისმგებლად მიჩნეული ამ უფლებების ნებისმიერი დარღვევისათვის“*[52].

ექსტრატერიტორიული იურისდიქციის კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დგება მისი ეროვნული ტერიტორიის მიღმა, სახეზეა, როდესაც უშუალოდ ამ სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან აქვს ადგილი კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევას. საქმეში - *ალ სკეინი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ,* ადამიანის უფლებათა ევროპულმა

[51] პარაგრაფი 52, *„ლუიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ“;*
[52] პარაგრაფი 138, *„ალ სკეინი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“;*

სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან ადგილი აქვს ძალის გამოყენებას აღნიშნული სახელმწიფოს ტერიტორიის მიღმა, დგება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: *„ნათელია, რომ, როდესაც სახელმწიფო, საკუთარი წარმომადგენლების საშუალებით ახორციელებს კონტროლს და ძალაუფლებას ინდივიდზე, და შესაბამისად - იურისდიქციას, სახელმწიფო ექცევა კონვენციის პირველი მუხლის ვალდებულების ქვეშ, უზრუნველყოს ამ ინდივიდის უფლებები და თავისუფლებები კონვენციის შესაბამისად“*[53]. აღნიშნულ საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გაერთიანებული სამეფო, საკუთარი სამხედროების მეშვეობით, რომლებიც ჩართულნი იყვნენ უსაფრთხოების ოპერაციებში ერაყში, ბასრაში, ახორციელებდა კონტროლსა და ძალაუფლებას ინდივიდებზე, რომლებიც მოკლული იქნენ ასეთი უსაფრთხოების ოპერაციების ფარგლებში. შესაბამისად, სასამართლოს დასკვნით, სახეზე იყო გაერთიანებული სამეფოს პასუხისმგებლობა აღნიშნულ ფაქტებთან მიმართებით[54].

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა სამხედრო სახის ხელშეკრულებები გააფორმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებთან და 2009 წლის 15 სექტემბრის შეთანხმებით, ორივე რეგიონში განალაგა რუსეთის სამხედრო ბაზები[55]. 2014 წლის ნოემბერში რუსეთის მთავრობამ და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „მეკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“. შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა „ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების სივრცის შექმნა“, მათ შორის, სამხედრო ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნა[56]. 2015 წელს დაიწყო აფხაზეთის დე-ფაქტო შეიარაღებული დაჯგუფებების ინტეგრაცია რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან. 2017 წლისათვის, აფხაზეთში რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ექვემდებარებოდა დაახლოებით 4.500 სამხედრო. 2017 წელს მსგავს შეთანხმებას მოეწერა ხელი რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, რომლის თანახმადაც, ცხინვალის რეგიონის შეიარაღებული დაჯგუფება შეუერთდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს[57]. ამას გარდა, რუსეთის ხელისუფლებისა და აფხაზეთისა და ცხინვალის დე ფაქტო მთავრობებს შორის 2009 წლის აპრილში ხელმოწერილი შეთანხმებების თანახმად, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრე ძალები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე მოქმედებენ[58].

რუსეთი პასუხისმგებელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე მიმდინარე უფლებადარღვევების გამო ექსტრატერიტორიული იურისდიქციის სამივე პრინციპის გათვალისწინებით: გამყოფ ხაზებზე უფლებადარღვევები ხორციელდება უშუალოდ რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლების მიერ, მათ

---

[53] პარაგრაფი 137, *„ალ სკეინი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“;*
[54] პარაგრაფი 149, *„ალ სკეინი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“;*
[55] „რუსეთის სამხედრო ბაზები აფხაზეთში“, თეონა აქუბარდია.
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.
http://bspn.gfsis.org/ge/resources/articles/display/256
[56] გვ. 6, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, „ბორდერიზაცია საქართველოში - რუსეთის პოლიტიკის შეკავების სტრატეგია“;
[57] გვ. 6, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, „ბორდერიზაცია საქართველოში - რუსეთის პოლიტიკის შეკავების სტრატეგია“;
[58] გვ. 5, *იგივე*

შორის - რუსი მესაზღვრეების მიერ, რომლებიც უკანონოდ აკავებენ ადამიანებს და აბრკოლებენ მათ თავისუფალ გადაადგილებას. ასევე, დაკავებული ადამიანები რუს მესაზღვრეებს მიჰყავთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზებში, სადაც წყდება მათი შემდგომი ბედი. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ხორციელდება ეფექტური კონტროლი, რის გამოც სწორედ იგია პასუხისმგებელი ოკუპირებულ ტერიტორიებზე უფლებადარღვევებისათვის. რუსეთის ხელისუფლებას დამყარებული აქვს კონტროლი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე როგორც მნიშვნელოვანი სამხედრო წარმომადგენლობით, ასევე - ადგილობრივი დე-ფაქტო ადმინისტრაციებისათვის არსებითი ხასიათის მხარდაჭერის გაწევით და საარსებო რესურსების უზრუნველყოფით (მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დაფინანსებით, ადგილობრივი მოსახლეობისათვის რუსული პასპორტების დარიგებითა და შესაბამისი ბენეფიტებით უზრუნველყოფა). 2012 წელს რუსეთმა აფხაზეთს გამოუყო დაახლოებით 210 მილიონი დოლარი საბიუჯეტო დაფინანსება, რაც აფხაზეთის ბიუჯეტის დაახლოებით 70%-ს შეადგენს, ხოლო, სამხრეთ ოსეთს დაახლოებით 170 მილიონი დოლარი, რაც სამხრეთ ოსეთის მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 92%-ს შეადგენს[59]. 2012 წლიდან რუსეთმა გაამარტივა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მიღება და დაიწყო მათთვის რუსეთის პასპორტების მასობრივი დარიგება. რუსეთის პასპორტების მიღების წახალისების მიზნით, რუსეთის სახელმწიფომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას შესთავაზა სხვადასხვა ბენეფიტები, მათ შორის - სოციალური დახმარება, პენსია, გამარტივებული მოგზაურობისა და განათლების მიღების შესაძლებლობები. შედეგად, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის უმრავლესობამ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო[60].

ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს გენერალური პროკურატურისაგან, თუ რა საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა და რა სამართლებრივი შედეგი დადგა გამყოფ ხაზზე დე ფაქტო და რუსეთის ხელისუფლებების წარმომადგენლების მხრიდან განხორციელებულ უკანონო დაკავებებთან დაკავშირებით. გენერალური პროკურატურისაგან მიღებული ინფორმაციით, უკანონო დაკავებებისა და გატაცებების ფაქტებთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით - თავისუფლების უკანონო აღკვეთა. თუმცა, აღნიშნულ ფაქტებე კონკრეტული პირები დაკავებული არ ყოფილან და ბრალი არ წარდგენიათ, დანაშაულის ჩამდენი პირების იდენტიფიცირების შეუძლებლობის გამო.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, ასევე, ოფიციალური წერილით მიმართა რუსეთის გენერალურ პროკურატურასა და უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურს. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთის ფედერაცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ახორციელებს ეფექტურ კონტროლს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოითხოვა ინფორმაცია, იქნა თუ არა წარმოებული გამოძიება და რა შედეგი დადგა თავისუფლების უკანონო შეზღუდვის, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის და ე.წ. გამყოფ ხაზებზე დაფიქსირებულ სხვა უფლებადარღვევებთან დაკავშირებით. რუსეთის გენერალური პროკურატურას არ უპასუხნია ადამიანის უფლებათა ცენტრის

[59] გვ. 15, „საჯარო დიპლომატია და კონფლიქტების რეზოლუცია“: https://www.uscpublicdiplomacy.org/sites/uscpublicdiplomacy.org/files/uploads/u35361/2012%20Paper%207.pdf

[60] გვ. 16-17, „საჯარო დიპლომატია და კონფლიქტების რეზოლუცია“: https://www.uscpublicdiplomacy.org/sites/uscpublicdiplomacy.org/files/uploads/u35361/2012%20Paper%207.pdf

ოფიციალურ წერილზე. რაც შეეხება რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ამ უწყებისაგან გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რა საფუძვლით ახორციელებენ მისი წარმომადგენლები დაკავებებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. გამყოფ ხაზებზე, ასევე ვისი დაკავება ხორციელდება და კონკრეტულად რა საფუძვლით. რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურისაგან მიღებული ოფიციალური პასუხის თანახმად, მათ არ მოეპოვებათ აღნიშნული ინფორმაცია, რადგანაც აღნიშნული საკითხები არ ეკუთვნის მათ კომპეტენციას.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე ადამიანის უფლებათა დარღვევებმა მასობრივი ხასიათი მიიღო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილ ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს ამჟამად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) იძიებს. ICC-ის პროკურორის ოფისის საქმეთა შერჩევისა და პრიორიტიზაციის დოკუმენტის თანახმად, ერთ-ერთი კრიტერიუმი, თუ რის საფუძველზეც ირჩევს პროკურორი საქმეებს, არის დანაშაულების შედეგები/ზეგავლენა დაზარალებულ მოსახლეობაზე. აღნიშნულის შეფასების დროს მხედველობაში მიიღება: მსხვერპლთა გაზრდილი მოწყვლადობა, დაზარალებულ მოსახლეობაში წარმოქმნილი ტერორი, ასევე - სოციალური, ეკონომიკური და გარემოს მიმართ მიყენებული ზიანი[61]. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე მიმდინარე მასობრივი უფლებადარღვევები, მათ შორის - ადამიანის თავისუფლების და უსაფრთხოების, გადაადგილების და განათლების უფლებების შეზღუდვები, იმ დანაშაულების პირდაპირ შედეგს და გაგრძელებას წარმოადგენს, რაც ომის დროს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განხორციელდა. რუსეთის მხრიდან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაწყებული ბორდერიზაციის პროცესი, ე.წ. სასაზღვრე ნიშნების აღმართვა და მცოცავი ოკუპაცია, რასაც შედეგად მოჰყვა ასობით ადამიანის უკანონო დაკავება, მათი გადაადგილებისათვის ხელოვნური ბარიერების შექმნა და გამყოფი ხაზების მიღმა მცხოვრები ხალხთაშორისი კავშირების გაწყვეტა, ომის შემდგომ შექმნილი ტერორის გაგრძელებაა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე მიმდინარე უფლებადარღვევები, ასევე, ატარებს რომის სტატუტით გათვალისწინებული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიშნებს. რომის სტატუტის მე-7 მუხლის თანახმად, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ შეიძლება, წარმოადგენდეს სამოქალაქო მოსახლეობაზე, ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ფარგლებში განხორციელებულ ისეთ ქმედებებს, როგორიც არის - დაპატიმრება ან ფიზიკური თავისუფლების სხვაგვარი უხეში ხელყოფა, რომელიც ჩადენილია საერთაშორისო სამართლის ძირითადი წესების დარღვევით, ასევე - ნებისმიერი იდენტიფიცირებული ჯგუფის ან ერთობის დევნა პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული ან სხვა ისეთი ნიშნის საფუძველზე, რომელიც საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ დაუშვებლად არის აღიარებული. „დევნა“ გულისხმობს საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ, ამა თუ იმ ჯგუფის ან ერთობისადმი კუთვნილების

[61] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურის ოფისი, საქმეთა შერჩევისა და პრიორიტეტიზაციის დოკუმენტი: https://www.icc-cpi.int/itemsdocuments/20160915_otp-policy_case-selection_eng.pdf

ნიშნით, ძირითად უფლებათა განზრახ და სერიოზულ ხელყოფას[62]. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული არ არის აუცილებელი, დაკავშირებული იყოს შეიარაღებულ კონფლიქტთან[63]. იმისათვის, რომ მასობრივი უფლებადარღვევები ჩაითვალოს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, სახეზე უნდა იყოს მათი ფართომასშტაბიანი ან სისტემატური ხასიათი. ფართომასშტაბიანობაში, გარდა მასშტაბის სიდიდისა, რომელიც მოიცავს ასევე მსხვერპლთა დიდ რაოდენობას, იგულისხმება მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აკუმულაცია განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში[64]. სისტემურობის განსაზღვრისათვის მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, როგორიც არის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ორგანიზებული, ასევე მათი რეგულარული ხასიათი[65].

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე ადამიანის ძირითად უფლებათა მასობრივი დარღვევები შეიცავს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიშნებს. მართლსაწინააღმდეგო ქმედებები გრძელდება სისტემატურად რამდენიმე წლის განმავლობაში. აღნიშნულ დანაშაულებს აქვთ ფართომასშტაბიანი ხასიათი, იქიდან გამომდინარე, რომ მიმართულია გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ადამიანების უმრავლესობის წინააღმდეგ. აღნიშნული ქმედებები, ასევე, ატარებს ორგანიზებულ და რეგულარულ ხასიათს, რომლის განხორციელებაში ჩართულია დე ფაქტო ადმინისტრაციებისა და რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური ინსტიტუციების წარმომადგენლები.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს პატრულირება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. გამყოფი ხაზების გასწვრივ მდებარე იმ სოფლებში, სადაც ხშირად ფიქსირდება თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტები;
- პოლიციის პოსტები განალაგოს გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლების ბოლოს, გამყოფი ხაზის სიახლოვეს, სადაც ხშირად ფიქსირდება უკანონო დაკავებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურასა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას:

- უზრუნველყოს ე.წ. გამყოფი ხაზების გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის სათანადო ინფორმირება, თუ როგორ უნდა მოიქცეს მოსახლეობა, როდესაც ადგილი აქვს მათი ოჯახის წევრის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტს; როგორ ისარგებლონ ცხელი ხაზით, რა სახის დახმარებას შეიძლება ელოდონ, ვის უნდა დაუკავშირდნენ და მიაწოდონ სხვა საჭირო ინფორმაცია.

---

[62] რომის სტატუტი; https://www.icc-cpi.int/nr/rdonlyres/ea9aeff7-5752-4f84-be94-0a655eb30e16/0/rome_statute_english.pdf

[63] გვ. 502, *დანიელ მოეცკლი, სანგვეტა შაჰი, სანდეშ სივაკუმარანი,* ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, 2014 წელი.

[64] გვ. 14, "კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები", Case Matrix Network. https://www.legal-tools.org/doc/6de633/pdf/

[65] *იგივე*

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში:

- მხარი დაუჭირონ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზიანებული სახლების რეაბილიტაციასა და ზიანის ანაზღაურებას, ასევე - აღნიშნულ სოფლებში მოსახლეობისათვის სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- გამოიყენოს ყველა შესაძლო საერთაშორისო სამართლებრივი, კვაზი-სამართლებრივი და დიპლომატიური მექანიზმი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზებზე მიმდინარე მასობრივი უფლებადარღვევებისათვის რუსეთის ფედერაციისა და დე ფაქტო ხელისუფლებების პასუხისმგებლობის აღძვრისათვის.

საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს:

- გააქტიურონ მუშაობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მასობრივი უფლებადარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს მთავრობას:

- ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებსა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში აქტიურად იქნას დაყენებული გამყოფ ხაზებზე მიმდინარე მასობრივი უფლებადარღვევები და განხილულ იქნას პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზები.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს:

- 2008 წლის აგვისტოს ომის მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საქმეთა შერჩევისას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულების თანმდევი შედეგები ე.წ. გამყოფ ხაზებზე, რაც გამოიხატება ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებში;
- ე.წ. გამყოფ ხაზებზე მიმდინარე უფლებადარღვევები შეფასდეს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჭრილში.

რუსეთს ფედერაციასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებს:

- შეწყდეს გამყოფ ხაზებზე ადამიანთა თავისუფლების უკანონო აღკვეთა და მათი გადაადგილების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა. შესაძლებლობა მიეცეს ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას, გალის რაიონში განათლება მიიღოს ქართულ ენაზე.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას:

- გაასაჯაროვოს ანგარიშები, რომლებიც მოიცავს გამყოფ ხაზებზე დაკავებული პირების გამოკითხვის შედეგებს. მოახდინოს ადამიანის უფლებათა დარღვევების შეფასება მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. აღნიშნული ინფორმაცია გადასცეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმებს.